საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 231 (510) სამშაბათი, 10 ნოემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

აფხაზეთის ამბები

როგორც აფხაზეთში განლაგებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს, ახალშენშრომის ბრძოლების შემდეგ 6-8 ნოემბერს მიმდინარეობდა ტერიტორიების გაწმენდა ბრძოლაში გადარჩენილი მტრის მცირე ჯგუფებისგან. აღნიშნული ოპერაციის შედეგად მოისპო მტრის 30-მდე მეომარი და ორი სატრანსპორტო საშუალება.

უკანასკნელ დღეებში მოწინააღმდეგე მხარე ცდილობს გაანადგუროს სოხუმის სასიცოცხლო ობიექტები, ამ მიზნით მან რამდენჯერმე დაუშინა ცეცხლი სოხუმის ახალ რაიონს, სადაც მდებარეობს რესპუბლიკური საავადმყოფო, ნეიროქირურგიული სახლი, სამშობიარო სახლი, პურის ქარხნები, აგრეთვე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ დაბომბვას მოჰყვა მშვიდობიან მოქალაქეთა მსხვერპლი.

ამ ბარბაროსულ მოქმედებასთან დაკავშირებით აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრმა ბატონმა გიორგი ხაინდრავამ აფხაზ სეპარატისტთა ხელმძღვანელობას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლის მიხედვითაც, თუ 8 ნოემბრის 24 საათიდან, მომდევნო დღის 24 საათის განმავლობაში არ შეწყდება სოხუმის დაბომბვა, მაშინ ყველა სახის საარტილერიო თუ საავიაციო საშუალებებით დაუყოვნებლივ განადგურებული იქნება ეშერაში, ახალ ათონში, გუდაუთასა და სხვა პუნქტებში განლაგებული და სოხუმზე დამიზნებული საცეცხლე წერტილები.

ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მინისტრმა და საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობამ გააფრთხილეს აფხაზ ექსტრემისტთა ხელმძღვანელობა და აქ განლაგებული რუსეთის შეიარაღებული სარდლობა, რომ ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ დასახელებული პუნქტებიდან გაიყვანონ მშვიდობიანი მოსახლეობა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული მხარე იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას გარდაუვალი შედეგებისთვის.

იოსებ გოგეჩია.
(მიღებულია ტელეფონით).

• • •

8 ნოემბერს დილით, როგორც საქართველოს რკინიგზის სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ ოლეგ ბიჭიაშვილმა განაცხადა, აფხაზეთის რკინიგზის სადგურ ტამიშის მახლობლად, ამასწინანდელი აღდგენის შემდეგ კვლავ ააფეთქეს 72 მეტრი სიგრძის ოთხმალიანი ხიდი.

— ამ აქციის მიზანი, — თქვა ო. ბიჭიაშვილმა, — მარტივია, — არ დაუშვან აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში სოხუმამდე მატარებლების მიმოსვლა. ერთხელ კიდევ, შეიარაღებული აფხაზი სეპარატისტებისა და მთიელთა კონფედერატების ბანდიტური მოქმედების შედეგად ამაო გახდა რესპუბლიკის რკინიგზელთა გარჯა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ რკინიგზაზე ყველგან ხდება სპილენძის სადენების ქურდობა, უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ: საქართველოს რკინიგზების მთელი სისტემა კატასტროფულ დეგრადაციას განიცდის.

თენგიზ ჩხიკვაძე.

ჭეშმარიტება ცხარე კამათში იბადება

საქართველოს პარლამენტის სხდომებიდან

ბოლო სხდომები საქართველოს პარლამენტის მუშაობაში განსაკუთრებით დაძაბული იყო. როგორც ვიუწყებოდით, პარლამენტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, რომლის თანახმადაც ფარული კენჭისყრით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად აირჩია პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალიც.

იმის შემდეგ, რაც პარლამენტის სპიკერად — პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს ვახტანგ გოგუაძე, პარლამენტარები 7 ნოემბრის სხდომაზე შეუდგნენ სპიკერის მოადგილეების კანდიდატურათა განხილვას. რეგლამენტის თანახმად, პარლამენტარებმა ჯერ დაასახელეს ერთი მოადგილის რამდენიმე კანდიდატურა. დასახელებული იყვნენ რუსუდან ბერიძე, ლია ცინდელიანი, შალვა კეკელია, ირინა სარიშვილი. ამ ორმა უკანასკნელმა თავისი კანდიდატურა მოხსნა. ხმათა უმრავლესობით, სპიკერის მოადგილედ არჩეულია **რუსუდან ბერიძე.**

შემდეგ განიხილეს სპიკერის მოადგილის მეორე კანდიდატურა. პარლამენტარებმა წამოაყენეს ვახტანგ რჩეულიშვილის, გიორგი კობახიძის, ვალერი კვარაცხელიას, ზურაბ მამულიას, ნუგზარ ნადარაიას, თეიმურაზ შაშიაშვილის, ალექსი კობაიძის, ზურაბ მუჩაიძის, გივი ლომინაძის კანდიდატურები. უმრავლესობამ თავის თავს აცილება მისცა, ბიულეტენში შეტანილი იქნენ ვახტანგ რჩეულიშვილი და გიორგი კობახიძე. ხმათა უმრავლესობით სპიკერის მოადგილედ არჩეულია **ვახტანგ რჩეულიშვილი.**

ფოტორეპორტაჟი საქართველოს პარლამენტიდან

ვალერა გენიძის ფოტო.

შემდეგ პარლამენტარები შეუდგნენ საპარლამენტო კომისიების რაოდენობისა და სახელწოდებების განსაზღვრას. თავდაპირველად, წარმოდგენილი იყო 22 კომისია. განხილვა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და პარლამენტარებმა გადაწყვიტეს, რომ საკონსულტაციო შეხვედრებზე საბოლოოდ შეათანხმებენ კომისიების შემადგენლობას და მათი თავმჯდომარეების კანდიდატურებს.

ამის შემდეგ პარლამენტარებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის დანიშვნის საკითხი.

ამ პოსტზე პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტს შესთავაზა თენგიზ სიგუას კანდიდატურა. მან დაახასიათა იგი, როგორც პიროვნება, რომელმაც უაღრესად რთულ ვითარებაში თავის თანამოაზრეებთან ერთად იკისრა მძიმე ტვირთი, უდიდესი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ერის წინაშე.

ამ საკითხზე კამათი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. გამართულმა არჩევნებმა შედეგი ვერ გამოავლინა, რადგან, როგორც ეს სხდომაზე გამოცხადდა, ტექნიკის გაუმართაობის გამო, სწორი შედეგის მიღება ვერ მოხერხდა.

კვირას, 8 ნოემბერს, პარლამენტმა განაახლა ამ საკითხის განხილვა. გადაწყდა, პრემიერ-მინისტრის დასანიშნად ხმა მიეცათ ფარული კენჭისყრით.

არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და „ქარტია-91"-ის დეპუტაციებმა. კენჭისყრის შედეგების მიხედვით, ხმათა უმრავლესობით საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნულია **თენგიზ სიგუა.**

სხდომაზე გამოვიდა პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. მან მადლობა გადაუხადა იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც პარლამენტმა გამოუცხადა. მე მესმის, აღნიშნა მან, რომ ამ დაძაბულობის ჟამს ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა ერისა და ქვეყნის წინაშე. მთავრობის ახალ კაბინეტს მოუხდება იმ შეცდომების გამოსწორება, რომლებიც აქ აღინიშნა. მას მოუწევს უაღრესად დაძაბული მუშაობა, რათა თავი გაართვას იმ დიდმნიშვნელოვან პრობლემათა ფართო წრეს, რომლებიც ამ ეტაპზე დგას საქართველოს წინაშე.

სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, პარლამენტის წევრმა თენგიზ კიტოვანმა. მან აუწყა აფხაზეთში ტყვედჩავარდნილი მეომრების ოჯახებს, რომ მიღწეულია შეთანხმება ტყვეების გაცვლის შესახებ და უახლოეს დღეებში ეს შეთანხმება რეალიზებული იქნება.

პარლამენტი სხდომას განაახლებს 10 ნოემბერს.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ღირსეულად გამოვიდეთ აფხაზეთის ომიდან, რომელშიც ამდენი ხალხი იღუპება

ტრადიციული საორშაბათო რადიოინტერვიუ

— პარლამენტის მუშაობის პირველი დღეებით კმაყოფილი ვარ, — განაცხადა ორშაბათს, 9 ნოემბერს თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ კომენტატორ ნატო ონიანთან საუბრისას. — პარლამენტმა, ჩემი აზრით, შეთანხმებულად იმუშავა და არ უნდა გვიკვირდეს, რომ იქ აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა. ასეთი სხვადასხვაობა საზოგადოებრივი აზროვნების ანარეკლია და იქ არსებულ განწყობილებას გამოხატავს. ერთგვარი დაძაბულობაც, რომელიც თან ახლდა პარლამენტის მუშაობას, ამითვე უნდა აიხსნას. ერთი სიტყვით, შემიძლია ვთქვა, რომ პარლამენტი ნორმალურად, სწორედ ისე შეუდგა მუშაობას, როგორც უნდა შესდგომოდა. ჩვენ მოკლე ხანში შევძელით რეგლამენტის მიღება. ბევრი დიდი გამოცდილების მქონე პარლამენტი ვერ მოახერხებდა ამას ასე მცირე დროში ისიც ასეთ ვითარებაში. ჩვენ მივიღეთ კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ. ეს აუცილებლად გასაკეთებელი საქმე იყო, რადგან 1921 წლის კონსტიტუცია, რომელიც ადრე აღვადგინეთ, ვერ ამოქმედდა, ვერ გვეხმარება, ამიტომ ჩვენი მთავარი დასაყრდენი ახალი კანონი იქნება, ის შეასრულებს დროებით ამ ფუნქციას.

მე მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს პარლამენტს თავისი ფუნქციების ასე ოპერატიულად ჩამოყალიბებისათვის და იმისთვისაც, რომ დააკანონა ეროვნული უშიშროების ინსტიტუტი, რომელმაც საშუალება უნდა მოგვცეს რესპუბლიკა ღირსეულად გამოვიყვანოთ საომარი მდგომარეობიდან, — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა. — ჩვენ ამ ინსტიტუტზე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ და მუშაობა ფაქტობრივად უკვე დაწყებულია. გუშინ ჩვენმა ეროვნულმა საბჭომ უკვე ჩამოაყალიბა იმ პროგრამის მონახაზი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს და იმოქმედოს. ალბათ ცოტა დრო დამჭირდება, რომ ამ პროგრამაზე ვიმუშაო და მერე მას პარლამენტს წარვუდგენ. ამ სტრუქტურის ჩამოყალიბებით დიდი საქმე გაკეთდა. თქვენ იცით, რომ ასეთი ინსტიტუტი ყველა ქვეყანაში მოქმედებს.

პარლამენტის სხდომაზე პრემიერ-მინისტრის დანიშვნის პროცედურასთან დაკავშირებით რადიოკომენტატორის მიერ დასმულ შეკითხვაზე სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ასეთ პროცედურასაც გაგებით უნდა შევხვდეთ ხოლმე. ხმისდამთვლელი ტექნიკის გაუმართაობაში ტელემაყურებლებიც დარწმუნდნენ. წინა დღეს გვიან ღამემდე მოგვიხდა მუშაობა, ცხარე კამათი იყო, ამ კამათში ყველამ ვერ მიიღო მონაწილეობა, ჩვენ კი გვინდოდა ყველას გამოეხატა თავისი პოზიცია, ამიტომ გადავწყვიტეთ, კენჭისყრა უფრო დამშვიდებულ ატმოსფეროში ჩატარებულიყო.

შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს დამოკიდებულება პიროვნებისადმი, ხელმძღვანელისადმი, ამ შემთხვევაში მთავრობის მეთაურს ვგულისხმობ, მაგრამ ასეთ დროს ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ამ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, ხალხი თავისი პირადული ეკონომიკური მდგომარეობით ხელმძღვანელობს და, აქედან გამომდინარე, აფასებს ყველაფერს, თუ როგორია მდგომარეობა მის სოფელში, ქალაქში.

(დასასრული მე-3 გვ.)

თითო კითხვა პარლამენტარებს

ოღონდ ქვეყანას უშველეთ...

სრულიად საქართველო ცისფერ ეკრანს მისჩერებია. შიშის, სევდის, ცნობისწადილის, იმედის — ერთი სიტყვით, უამრავი გრძნობის და ემოციის არათანაბარი ნაზავით შევყურებთ თითოეული დეპუტატის გამოსვლას.

შიში რად?

რად და ერთი დედაბის სხვადასხვა შტოში გედის, კიბოს და ქარიყლაპიას არაკის მორალი არ გაგვეცხადოს.

სევდაც ამას და დაშლა-დაქუცმაცების და შეჯახება-შემოჯახებისაკენ ჩვენი გენეტიკური მიდრეკილების გაცნობიერებას მოჰყვება.

ცნობისწადილის — შევამოწმოთ როგორი არჩევანი გავაკეთეთ, ვის მივეცით ხმა, ვის ხელში ჩავაგდეთ ქვეყანა? და იმედის... საბოლოო იმედის, იმის იქით ღვთის რწმენაღა რომ არის, მეტი არაფერი...

ჩნდება კითხვები, კითხვები — საერთო, კონკრეტული, საზოგადო, პირადული. მაყურებელს, მკითხველს, ამომრჩეველს ბევრი რამ აინტერესებს, ბევრი სურს გაიგოს მათგან, მათზე. დღეს თითო კითხვით მე მივმართავ დეპუტატებს, მერე კი მკითხველი რომ შეგვეხმიანება, მათთვის საინტერესო თემებზე ვესაუბრებით მათ.

ირაკლი შენგელაია (ბლოკი „11 ოქტომბერი"): თანამშრომლობა შესაძლებელია!

ბატონ ირაკლისთან რამდენიმე წლის წინანდელი მოვლენებიდან გამომდინარე შეკითხვა დამებადა. გამიგია: 9 აპრილის ტრაგიკულ ამბებთან დაკავშირებით თბილისში ჩამოსულ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს კინოსტუდიაში შეხვედრის დროს ირაკლი შენგელაიას გამოსვლისთვის რომ მოუსმენია, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილისთვის უთქვამს, ასეთი ადამიანები რომ გყოლოდათ ირგვლივ შემოკრებილი, იქნებ საქმე აქამდე არ მისულიყო. ახლა განგების ნებით სამივე: ყოფილი ვებერთელა კომუნისტური იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი — ფაქტობრივად მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკის ტონის მიმცემი, იმპერიის ერთი რეგიონის ხელმძღვანელი და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ერთი პატარა, უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის პარლამენტში სხდებიან... სამი წერტილის მიღმა შეკითხვა იგულისხმება, რომელსაც ბატონი ირაკლი შენგელაია მშვენივრად ხვდება.

პასუხი: ჩვენი პარლამენტის შემადგენლობა, — სხვა სიტყვა ვერ მივუჭირე, — საოცარია: აქ არიან ყოფილი კომპარტიის წარმომადგენლები, თავის დროზე საკმაოდ მაღალი რანგის თანამდებობის პირნი, აქ არიან „მრგვალი მაგიდის" წევრებიც, — ისინიც, ვინც ბოლომდე იყვნენ მის შემადგენლობაში და ისინიც, რომლებმაც პარტია მიატოვეს და ოპოზიციაში ჩაუდგნენ ყოფილ თანამებრძოლებს; აქ არიან წინა ხელისუფლების საპარლამენტო ოპოზიციაში მყოფი პარტიების წარმომადგენლები, აგრეთვე მაშინ „ქუჩის ოპოზიციად" ხმობილი არასაპარლამენტო ოპოზიცია (თავისთავად რომელთა შორის სხვაობა ძალზე დიდია), აქ არის სრულიად უპარტიო ხალხი. ამას პლუს რეგიონების წარმომადგენლები, რომლებიც არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიას არ მიეკუთვნებიან, ხომ ხედავთ, მრავალფეროვნებაც არის და მრავალფეროვნებაც! მაგრამ ეს სავსებით კანონზომიერია — მოსახლეობა ხომ სრულყოფილად არ ცნობს თითოეულ პოლიტიკურ დაჯგუფებას. მისი დამოკიდებულება არჩევნებისადმი ძალზე მარტივი ფორმულით შეიძლება გამოვსახოთ: „ვინც გნებავთ იყავით ერთად, ყველას აგირჩევთ, ოღონდ ქვეყანას უშველეთ". პირადად ეს ჩემთვის, რამდენად მისაღებია, ამას, რასაკვირველია, მნიშვნელობა არა აქვს, ის უემოციოდ უნდა აღვიქვათ.

მნიშვნელოვანი დღესდღეობით ერთადერთი რამ შეიძლება იყოს: საქართველოს როგორმე გამოყვანა კატასტროფული მდგომარეობიდან. ხოლო შესაძლებელია თუ არა ეს, უნდა გადაწყვიტოს თითოეულმა ჩვენგანმა, პარლამენტის წევრებმა პირადი პასუხისმგებლობით, იმისდა მიუხედავად, თუ რა მოსდევს სიტყვა „ყოფილს" მათს ბიოგრაფიაში.

„თითოეულმა", რომელთაგან ერთ-ერთი ჩემი მოსაუბრეც არის. მე მისი პირადი შეხედულება მაინტერესებს — შეიძლება ერთგვარმა კონგლომერატმა, ფაქტობრივად ჩვენი პარლამენტი რომ გამოვიდა, ეს მისია შეასრულოს და ხალხის იმედი გაამართლოს?

— შეიძლება!

ელდარ შენგელაია (ბლოკი „ერთობა"): კიდევ კარგი, სპიკერად არ ამირჩიეს...

ბატონ ელდართან ჩემი საუბარი მილოცვით დაიწყო. მივულოცე პარლამენტის სპიკერის თანამდებობაზე... არარჩევა და თან ვუთხარი, პარლამენტის წევრი რომ ვყოფილიყავი, ხმას არც მე მოგცემდით-მეთქი. საზოგადოებრივი საქმე — კი, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი მაინც მისი უმშვენიე-

(დასასრული მე-3 გვ.).

ამ დღეებში

გაგაცნობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ნომერში

- გაეროს წარმომადგენლობა — საქართველოში 3
- წამებული რაინდები 4

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 6 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ინფორმაციის გამო

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიღებული იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური უმოკლეს დროში წარმოადგენს სრულ ინფორმაციას აფხაზეთის კონფლიქტთან და მისი მოგვარების პერსპექტივებთან დაკავშირებით.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დააჩქაროს ორგანიზაციული საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელშეკრულების დასადებად.
3. პარლამენტში წარმოდგენილმა პოლიტიკურმა პარტიებმა, ბლოკებმა, დამოუკიდებელ დეპუტატთა ჯგუფმა წარმოადგინონ კანდიდატურები აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესასწავლად კომისიის შესაქმნელად. კომისიამ გაწეული საქმიანობის შესახებ მოახსენოს საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 6 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

თენგიზ სიგუას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დაინიშნოს თენგიზ სიგუა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

თბილისი
1992 წლის 8 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ვახტანგ გოგუაძის საქართველოს პარლამენტის სპიკერად — პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს ვახტანგ გოგუაძე საქართველოს პარლამენტის სპიკერად — პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 6 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
რუსუდან ბერიძის საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს რუსუდან ბერიძე საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 7 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ვახტანგ რჩეულიშვილის საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს ვახტანგ რჩეულიშვილი საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 7 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა საქართველოს პარლამენტის წევრის, ივლანელთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის **ნუგზარ დარჩოს ძე მიხანაშვილის** დამკრძალავი კომისია რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის **ირაკლი სურგულაძის** თავმჯდომარეობით.

ნუგზარ მიხანაშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ნუგზარ მიხანაშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 10 ნოემბერს 11 საათზე თბილისში, კინოს სახლში. გამოსვენება — იმავე დღეს 14 საათზე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს ქვეყნის საგანგებო საშინაო და საგარეო მდგომარეობით განპირობებულ საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებას, მათი საქმიანობის წესს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, რაც განხორციელდება 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მემკვიდრეობითობის საფუძველზე.

სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველია აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება", რომლითაც განსაზღვრულია ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა და სხვა თავისებურებანი.

თავი პირველი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყარო არის საქართველოს ხალხი, ხელისუფლება ხორციელდება ხალხისათვის და ხალხის მიერ.

ხალხი თავის სუვერენიტეტს ახორციელებს უშუალოდ და წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით.

მუხლი 2

საქართველოს სახელმწიფო არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც ერთიანი და განუყოფელია.

მუხლი 3

საქართველოს რესპუბლიკაში უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი; უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ საქართველოს სახელმწიფო მეთაური და საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, სასამართლო ხელისუფლებას — სასამართლო.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები; უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

მუხლი 4

საქართველოს რესპუბლიკის რაიონებში, ქალაქებში, ქალაქების რაიონებში, დაბებში, თემებში, სოფლებში ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებია საკრებულოები, გამგეობები, გამგებლები.

თბილისის, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება, მოწყობისა და საქმიანობის წესი განსაზღვრულია კანონით.

თავი მეორე

პარლამენტი

მუხლი 5

საქართველოს პარლამენტი არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული, პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატებისა და პარლამენტის თავმჯდომარისაგან.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა პარლამენტის სპიკერი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, არიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მეთაურები, თუ ისინი არჩეული არიან საქართველოს პარლამენტის დეპუტატებად. თუ ისინი არჩეული არ არიან პარლამენტის დეპუტატებად, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები, აირჩევიან პარლამენტის მიერ ავტონომიურ რესპუბლიკებში არჩეული პარლამენტის დეპუტატების წინადადების საფუძველზე მათი შემადგენლობიდან.

პარლამენტი არის მუდმივმოქმედი ორგანო. მისი უფლებამოსილება განისაზღვრება სამი წლის ვადით, რომელიც იწყება დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობიდან.

პარლამენტი, თავისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს ოთხი თვისა, ნიშნავს პარლამენტის არჩევნებს და უფლებამოსილებას ინარჩუნებს ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

პარლამენტის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით. იგი უფლებამოსილია, დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, რომელიც უნდა ჩატარდეს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 4 თვისა. ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, თუ ამას მოითხოვს დეპუტატთა სიითი შემადგენლობის სულ ცოტა ერთი მეხუთედი და ამ წინადადებას მხარს დაუჭერს დეპუტატთა სიითი შემადგენლობის არა ნაკლებ ორი მესამედისა. ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, პარლამენტი უფლებამოსილებას ინარჩუნებს ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

მუხლი 6

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობისათვის პარლამენტი:

იღებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, სხვა კანონებს და დადგენილებებს;

1) წყვეტს ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების საკითხებს;
2) წყვეტს ომისა და ზავის საკითხებს;
3) წყვეტს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებს;
4) უზრუნველყოფს საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების; კანონებისა და სხვა აქტების შესაბამისობას საქართველოს რესპუბლიკის კანონებთან;
5) განსაზღვრავს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის წესს;
6) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრების შეცვლას, რაიონულ დაყოფას, ქალაქებისა და ქალაქების რაიონების შექმნას, ქალაქების დაქვემდებარების შეცვლას, რაიონების, ქალაქების, რაიონებისათვის სახელების დარქმევას თუ გადარქმევას, აგრეთვე სხვა დასახლებული პუნქტების სახელების გადარქმევას;
7) კანონით დადგენილი წესით, შეწყვეტს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებას.

მუხლი 7

პარლამენტი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სახელმწიფო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს; ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობაზე.

პარლამენტის უფლებამოსილებაა:

1) სოციალურ-ეკონომიკური და სხვა უმნიშვნელოვანესი რესპუბლიკური პროგრამების დამტკიცება;
2) საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება;
3) ერთიანი საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრა;
4) საგადასახადო სისტემის საფუძვლების დადგენა;
5) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მოწყობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;
6) პარლამენტის მიერ შექმნილი და არჩეული ორგანოების, აგრეთვე, მის მიერ არჩეული, დანიშნული თუ დამტკიცებული თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა;
7) სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის, აგრეთვე, სახელმწიფოს ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აქტების გაუქმება, თუ ისინი არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს;
8) რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
9) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა კანონმდებლობის შესაბამისად;
10) სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების საკითხების განხილვა;
11) საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიკაცია და დენონსაცია;
12) შეიარაღებული ძალების მოწყობისა და შეიარაღებულ ძალებში გაწვევის წესების დადგენა;
13) საომარი მდგომარეობის გამოცხადება, სამხედრო და საგანგებო წესების გამოცხადება ან გამოცხადების დადასტურება;
14) ამნისტიის აქტების გამოცემა;
15) კანონების განმარტება;
16) სახელმწიფო ჯილდოების დაწესება;
17) უმაღლესი სამხედრო და სპეციალური წოდებების, დიპლომატიური რანგებისა და კლასების დაწესება შესაბამისი სამინისტროების წარდგინების საფუძველზე;
18) კანონით დადგენილი სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, განსახილველად მიიღოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 8

პარლამენტი ირჩევს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პარლამენტის სპიკერს — პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, პარლამენტის სპიკერის ორ მოადგილეს, პარლამენტის კომისიების თავმჯდომარეებს; პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, პარლამენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, ამტკიცებს პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს და მინისტრთა კაბინეტის წევრებს; ირჩევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს; ირჩევს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს, უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და ამტკიცებს, უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმს; სახელმწიფოს მეთაურის წარდგინებით, ნიშნავს გენერალურ პროკურორს, გენერალური პროკურორის წინადადებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიას; სახელმწიფო მეთაურის წარდგინებით ნიშნავს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსს, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარეს; ამტკიცებს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის კოლეგიას, კონტროლის პალატის პრეზიდიუმს, ეროვნული ბანკის გამგეობას, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის კოლეგიას.

პარლამენტი წყვეტს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს, პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის წევრების გადადგომის, მათთვის ნდობის გამოცხადების საკითხებს.

მუხლი 9

პარლამენტის წევრი არ არის შეზღუდული იმპერატიული მანდატით.

დეპუტატი ხელშეუხებელია. იგი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააკავონ, დააპატიმრონ, გაჩხრიკონ ან მას სასამართლო წესით შეუფარდონ ადმინისტრაციული სასჯელი პარლამენტის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას დანაშაულის ჩადენაზე წაასწრებს. ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს.

დეპუტატს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტების გამო, რომლებიც მას გაანდეს, როგორც დეპუტატს. ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

დეპუტატის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ პარლამენტის მოტივირებული დადგენილებით დეპუტატის გადადგომის, მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის, სასამართლო წესით მისი ქმედუუნაროდ აღიარების შემთხვევაში, აგრეთვე, იმ თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნისას, რომელიც კანონით შეუთავსებელია დეპუტატის საქმიანობასთან.

მუხლი 10

დეპუტატს უფლება აქვს, შეკითხვის წესით, დააყენოს საკითხი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა წინაშე, რომლებიც ვალდებული არიან, ათი დღის ვადაში, პასუხი გასცენ შეკითხვის წესით დაყენებულ ამ საკითხს პარლამენტის სესიაზე.

დეპუტატის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 11

პარლამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით იქმნება პარლამენტის მუდმივი კომისიები და პარლამენტის სამდივნო.

პარლამენტის კომისიებს უფლება აქვთ თავიანთი გამგებლობის საკითხებზე მოსთხოვონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს წარუდგინონ მათ დოკუმენტები, წერილობითი დასკვნები, საანგარიშო მონაცემები და სხვა საჭირო მასალები.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს კომისიას არა უგვიანეს ერთი თვისა ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში.

კომისიებისა და სამდივნოს საქმიანობის წესს განსაზღვრავს პარლამენტის რეგლამენტი.

დროებითი კომისიების უფლებამოსილებას განსაზღვრავს პარლამენტი მათი შექმნისას.

მუხლი 12

პარლამენტისა და მისი კომისიების სამუშაო გეგმების, დღის წესრიგისა და სხვა საორგანიზაციო საკითხების განსახილველად პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის — სპიკერის, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეების, სპიკერის მოადგილეების, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების, სამდივნოს უფროსის, საპარლამენტო ფრაქციათა თითო წარმომადგენლის შემადგენლობით იქმნება პარლამენტის კოლეგია. იგი უფლებამოსილია შეასრულოს მხოლოდ პარლამენტის ორგანიზაციული დავალებები. კოლეგიის სხდომებს წარმართავს პარლამენტის სპიკერი ან მისი დავალებით — პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ან სპიკერის მოადგილე.

მუხლი 13

კანონებსა და დადგენილებებს პარლამენტი იღებს დეპუტატთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით; კონსტიტუციას, ამ კანონს, მათში ცვლილებებს და დამატებებს და აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა გადაწყვეტილებებს — დეპუტატთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით.

კანონი ქვეყნდება პარლამენტის თავმჯდომარის და პარლამენტის სპიკერის ხელმოწერით; პარლამენტის დადგენილებებს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 14

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტის წევრს, პარლამენტის კომისიას, მინისტრთა კაბინეტს, უზენაეს სასამართლოს, უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს, გენერალურ პროკურორს, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, მოქალაქეთა ჯგუფს, რომელიც პარლამენტში წარადგენს ათი ათასი ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილ განცხადებას.

მუხლი 15

პარლამენტის სხდომები მიმდინარეობს საჯაროდ. დახურული სხდომები ტარდება პარლამენტის გადაწყვეტილებით.

მუხლი 16

პარლამენტის საქმიანობის, მისი სხდომების წარმართვის წესი განისაზღვრება რეგლამენტით.

თავი მესამე

პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური

მუხლი 17

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური არის საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც საქართველოს წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში; უზრუნველყოფს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, სახელმწიფო ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას.

საქართველოს რესპუბლიკის მეთაურად პარლამენტის მიერ მისი სიითი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით აირჩევა პარლამენტის თავმჯდომარე, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.

სახელმწიფოს მეთაური:

1) იწვევს პარლამენტის მორიგ სესიას, საკუთარი ინიციატივით, პარლამენტის საერთო შემადგენლობის სულ ცოტა ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მოთხოვნით იწვევს რიგგარეშე სესიებსა და სხდომებს;
2) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს პარლამენტის სხდომებზე ამ კანონის მეექვსე მუხლის 1-7 პუნქტებით გათვალისწინებული, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონების მიღების, მათში ცვლილებების შეტანის საკითხების განხილვისას, ხოლო პარლამენტის გადაწყვეტილებით — სხვა შემთხვევებშიც;
3) უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მონაწილეობდეს პარლამენტის მუშაობაში, წინასწარჩაუწერლად და რიგგარეშე მონაწილეობდეს კამათში;
4) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს; უფლებამოსილია, არა უგვიანეს ათი დღის ვადისა დაუბრუნოს კანონპროექტი თავისი მოსაზრებებით პარლამენტს ხელახალი განხილვისა და კენჭისყრისათვის. თუ პარლამენტი, იმავე პროცედურით, რომლითაც მიიღო კანონი, დაადასტურებს, თავის გადაწყვეტილებას, პარლამენტის თავმჯდომარე ხელს აწერს კანონს;
5) მეთაურობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემას;
6) წელიწადში ერთხელ მაინც ან პარლამენტის მოთხოვნით პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ;
7) ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს, მინისტრთა კაბინეტის წევრებს და პარლამენტს წარუდგენს დასამტკიცებლად; ნიშნავს გენერალური პროკურორის, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს;
8) წინადადება შეაქვს პარლამენტში პრემიერ-მინისტრის ან მინისტრთა კაბინეტის რომელიმე წევრისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ;
9) ნიშნავს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, სახელმწიფო რწმუნებულებს;
10) ნიშნავს უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირებს;
11) ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს;
12) ანიჭებს უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს და სხვა სპეციალურ წოდებებს შესაბამისი სამინისტროების წარდგინების საფუძველზე;
13) აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან და ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;
14) პარლამენტთან შეთანხმებით ნიშნავს და გამოიწვევს საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩებს. საზღვარგარეთის სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები აკრედიტებული არიან სახელმწიფოს მეთაურთან;
15) აცხადებს მობილიზაციას; აცხადებს საომარ მდგომარეობას საქართველოს რესპუბლიკაზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში და დაუყოვნებლივ შეაქვს ეს საკითხი პარლამენტის განსახილველად; აცხადებს სამხედრო მდგომარეობას და დაუყოვნებლივ შეაქვს ეს საკითხი პარლამენტის განსახილველად.

სამხედრო მდგომარეობის წესსა და რეჟიმს განსაზღვრავს კანონი;

16) მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის იძლევა გაფრთხილებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი აცხადებს მათ შემოღებას. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეაქვს პარლამენტის დასამტკიცებლად;
17) აჯილდოებს საქართველოს რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით, ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკის საპატიო წოდებებს;
18) გადაწყვეტს საქართველოს მოქალაქედ მიღების, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;
19) ახორციელებს მსჯავრდებულთა შეწყალებას;
20) თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად ქმნის სახელმწიფოს მეთაურის აპარატს;
21) ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 18

სახელმწიფოს მეთაური გამოსცემს ბრძანებულებებს და განკარგულებებს.

მუხლი 19

პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება შეწყდება მისი გადადგომის, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში.

პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება სამშობლოს ღალატის, კონსტიტუციური კანონების უხეში დარღვევის ან სხვა საფუძველზე პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეოთხედის წერილობითი მოთხოვნით და პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედის დასტურით.

პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების შეწყვეტის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას, პარლამენტის მიერ ორი კვირის განმავლობაში სახელმწიფოს მეთაურის არჩევამდე, ასრულებს პრემიერ-მინისტრი; პრემიერ-მინისტრის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის სპიკერი.

თავი მეოთხე

პარლამენტის სპიკერი, მისი მოადგილეები

მუხლი 20

პარლამენტის სპიკერი თავმჯდომარეობს პარლამენტის სხდომებს, პარლამენტის კოლეგიას, კოორდინაციას უწევს პარლამენტის კომისიების საქმიანობას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს პარლამენტის სამდივნოსა და აპარატს, გამოსცემს ბრძანებებს.

სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის, თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში პარლამენტის რიგგარეშე სესიებსა და სხდომებს იწვევს პარლამენტის სპიკერი.

მუხლი 21

პარლამენტის სპიკერის მოადგილეები სპიკერის დავალებით ან სპიკერის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ასრულებენ მის მოვალეობებს; მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ პარლამენტის სამდივნოსა და აპარატს და პასუხს აგებენ მათ საქმიანობაზე.

თავი მეხუთე

მინისტრთა კაბინეტი

მუხლი 22

საქართველოს რესპუბლიკაში აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებისაგან. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციაში ჩარევა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 23

მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია პარლამენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის წინაშე და თავისი საქმიანობის შესახებ წელიწადში ორჯერ მაინც ან პარლამენტის მოთხოვნით ანგარიშს აბარებს პარლამენტს.

მუხლი 24

მინისტრთა კაბინეტის წევრი უფლებამოსილია მონაწილეობდეს პარლამენტისა და მისი კომისიების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

მუხლი 25

მინისტრთა კაბინეტი უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომელიც არ შედის პარლამენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციაში.

მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებას, მისი მოწყობისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს ეს კანონი და კანონი მინისტრთა კაბინეტის შესახებ.

მუხლი 26

პრემიერ-მინისტრი წარუდგენს სახელმწიფოს მეთაურს წინადადებებს მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ. მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურას ამტკიცებს პარლამენტი.

პრემიერ-მინისტრს, პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და მინისტრს უფლება აქვთ დაიკავონ მხოლოდ ერთი თანამდებობა სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში.

მუხლი 27

მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის კანონების, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებს. პრემიერ-მინისტრი გამოსცემს განკარგულებებს. პრემიერ-მინისტრის და მინისტრთა კაბინეტის აქტების შესრულება სავალდებულოა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 28

მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აქტების შესრულება.

მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და თავისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების აქტები.

მუხლი 29

პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს დააყენოს პარლამენტის წინაშე მინისტრთა კაბინეტისადმი ნდობის საკითხი.

პრემიერ-მინისტრის გადადგომა გამოიწვევს მინისტრთა კაბინეტის გადადგომას.

პარლამენტის წინაშე პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის წევრისადმი ნდობის საკითხის დაყენების უფლება აქვს დეპუტატთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთ მეხუთედს ან პარლამენტის თავმჯდომარეს.

თავი მეექვსე

შეიარაღებული ძალები

მუხლი 30

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები იქმნება საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია სახელმწიფოს მეთაური.

შეიარაღებული ძალების სტრუქტურა და ორგანიზაცია განისაზღვრება კანონით.

თავი მეშვიდე

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო

მუხლი 31

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ძირითადი ამოცანაა ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და წესრიგის უზრუნველყოფა.

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შემადგენლობას, საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონის მიღებამდე, განსაზღვრავს სახელმწიფოს მეთაური — შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო იღებს დადგენილებებს.

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეობს სახელმწიფოს მეთაური.

თავი მერვე

სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 32

საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას მხოლოდ სასამართლო ახორციელებს. მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

სასამართლო განაჩენები და გადაწყვეტილებები გამოაქვთ და ქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის სახელით.

დაუშვებელია რაიმე სპეციალური და საგანგებო სასამართლოების შექმნა, აგრეთვე სასამართლო ფუნქციების განხორციელება არასასამართლო ორგანოების მიერ. სასამართლოების მოწყობისა და საქმიანობის წესს საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო რეფორმის განხორციელებამდე განსაზღვრავს მოქმედი კანონმდებლობა.

მუხლი 33

რესპუბლიკის პროკურატურისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მოწყობისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 6 ნოემბერი.

თუ დაეჯერებათ

მაცნე მოვიდა გროზნოდან

ჩვენი კორესპონდენტი ია კალანდარიშვილი ესაუბრა მოძრაობა „მჭედრიონის" და შეიარაღებულ ფორმირებათა ხელმძღვანელებს

ჯემალ გამახარია: ბოლო პერიოდში ბევრი დაიწერა და ითქვა, რომ გამსახურდიას მომხრეები არ მონაწილეობენ აფხაზეთის ომში. ჩვენც და ბევრ სხვასაც მიაჩნია, რომ ამ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა, მაგრამ ამისთვის ყველაფერი არ გაკეთებულა. კერძოდ, აფხაზეთის დეპუტატთა ფრაქციას უფრო აქტიურად უნდა ემუშავა, საჭირო იყო ადგილზე ადგილობრივი მოსახლეობისგან შეექმნათ სამხედრო შენაერთები და გვემუშავა იმისთვის, რომ აფხაზური და ქართული გვარდია გაგვეერთიანებინა საერთო სარდლობით.

ასე იყო თუ ისე, ომი დაიწყო, რომელშიც უპირველეს ყოვლისა ქართველი მოსახლეობა დაზარალდა. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ომი იმპერიის პროვოცირებულია და მიმართულია მთელი კავკასიისა და მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ. მას დასასრული არ უჩანს, თუ ჩვენ ფსონზე გავიდით და, ღმერთმა ნუ ქნას, ისინი ენგურამდე მოვიდნენ, ამით ომი არ დამთავრდება, პირიქით, ის უფრო გამძაფრდება. ამიტომ აქვს თუ არა აზრი ამ ომის გაგრძელებას? მასში ახალ-ახალი ძალების ჩართვასა და ახალგაზრდების ჟლეტას?

კარგად იცით, ამ ომის შედეგად ფაქტობრივად გაიძარცვა მთელი აფხაზეთი, გაიზიდა უზარმაზარი ქონება — როგორც კერძო და კოოპერაციული, ისე სახელმწიფო. აქედან გამომდინარე გამოგვაქვს დასკვნა, რომ სანამ ჯერ კიდევ რაიმე შანსია, ომი უნდა შეწყდეს და არსებული პრობლემები მშვიდობიანად გადაწყდეს.

ომი არ დამთავრდება, თუ ორივე მხარის ინტერესები მაქსიმალურად არ იქნა გათვალისწინებული. ეს იყო იდეა ჩვენი გამგზავრებისა გროზნოსა და გუდაუთაში.

გროზნოში შევხვდით გამსახურდიას, დუდაევს, სოსლანბეკოვს...

გამსახურდიასთან ჩვენი საუბარი შეეხებოდა მხოლოდ აფხაზეთის პრობლემებს. შეხვედრაზე ითქვა, რომ ომის მიზანია საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოცილება იმპერიის მიერ, ან ახალი საზღვრის გავლება გუმისთაზე.

ნათქვამი იყო, რომ ამ ომის დამთავრება საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნებით შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზით და ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პრეზიდენტ დუდაევს.

ჩვენი დელეგაციის შეხვედრისას დუდაევთან ამ უკანასკნელმა ეჭვი გამოთქვა დაგომისის მოლაპარაკების დროს მხარეთა შორის ჩრდილოეთ კავკასიის საწინააღმდეგოდ ფარული გარიგების შესახებ. თქვა, რომ იგი — ჩეჩნეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე — დაინტერესებულია ძლიერი, ერთიანი საქართველოთი. გაიხსენა, რომ დაახლოებით ნახევარი წლის წინათ არძინბამ ხელი აალებინა განზრახვაზე მიემართა რუსეთისათვის ფედერაციული ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანაც დაემუქრა — წინააღმდეგ შემთხვევაში ჩეჩნეთი დაუპირისპირდებოდა აფხაზეთსო. კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: დუდაევმა სინანული გამოთქვა იმ პროპაგანდის გამო, რომელიც წარმოებს საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და მიმართულია ქართულ-ჩეჩნური ურთიერთობის გასამწვავებლად. მან სთქვა, რომ აფხაზეთში არც ერთი კაცი არ გაუგზავნია საომრად, პირიქით — ორი თვითმფრინავი მოხალისეები გამოიყვანა იქიდან. ვინც იქ ჩავიდა, დამოუკიდებლადაა წასული, თანაც მათი დიდი ნაწილი რუსეთის სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებლებიაო.

დღეისათვის, მათი მონაცემებით, აფხაზეთში ორმოც, სამოც კაცამდე ჩეჩენი მოქალაქე იმყოფება...

ჩემი მხრით დავუმატებ, რომ ყველა ჩრდილოკავკასიელს ჩეჩნებს უწოდებენ.

დუდაევმა განაცხადა, რომ იგი აუცილებლად გააკეთებს მიმართვას ქართველი ერისადმი საქართველოს ტელევიზიის მეშვეობით, თუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება. მან გამოთქვა მზადყოფნა, რომ ნებისმიერ დროს ჩამოვა სოხუმში და გუდაუთაში, რათა ხელი შეუწყოს უაზრო და ძმათამკვლელი ომის შეწყვეტას.

დუდაევის რჩევით შევხვდით სოსლანბეკოვს. მასთან მძიმე საუბრის შემდეგ მხარეები შევთანხმდით რომ, ამ ომის გაგრძელება ეწინააღმდეგება მთელი კავკასიის ინტერესებს, და იგი მშვიდობიანი გზით უნდა დამთავრდეს, მას შევხვდით, როგორც ჩვენდამი დაპირისპირებულ მხარეს, რომელიც ჩვენ გვეომება. ამის შემდეგ დუდაევმა ჩეჩნეთის პარლამენტის სამი წევრი გამოყო, რომელიც ჩემთან ერთად ჩამოვიდა სოხუმში და გავემგზავრეთ გუდაუთაში.

გუდაუთაში შევხვდით აფხაზეთის ხელმძღვანელებს არძინბას გარდა (იგი მოსკოვში იმყოფებოდა). აქ იყო კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი იური შანიბოვი, რომელიც მონაწილეობდა საუბარში. გაფორმდა შეხვედრის ოქმი, რომელშიც ნათქვამია:

„გამოვხატავთ რა სერიოზულ შეშფოთებას აფხაზეთში ძმათამკვლელ ომში ჩათრეული ხალხების ბედით, მხარეებს მიგვაჩნია, რომ სამხედრო კონფლიქტი აფხაზეთსა და საქართველოს შორის შეიძლება გადაწყდეს. ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაწესრიგებლად ჩეჩნეთის რესპუბლიკა და ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „მჭედრიონი" სთავაზობს წინადადებას შეასრულონ საშუამავლო მისია.

წინადადებას დათანხმდნენ აფხაზთა მხარე და კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია,

1992 წლის 5 ნოემბრის წინამდებარე ოქმი არ არის იურიდიული დოკუმენტი. მაგრამ თუ მას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მიიღებს ,ამ შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია კომისიის შექმნა, ომის შეწყვეტა მშვიდობიანი გზით, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დაცვით.

ვახტანგ (ლოთი) ქობალია: თუ საქართველოს მხარემაც მოაწერა ხელი ასეთსავე დოკუმენტს, მაშინ შესაძლებელია მოწინააღმდეგე მხარეთა შორის დანიშნული დროისათვის შეწყდეს ცეცხლი, შეიქმნას კომისია, რომელიც იმუშავებს ერთობლივი ჯარის ჩამოყალიბებაზე და კონტროლს გაუწევს აღნიშნული შეთანხმების შესრულების მიმდინარეობას საქართველოს ამ რეგიონში, დაიცავს საზღვარს, რკინიგზას, გზას და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდები აღდგენილია

უკანასკნელ ხანს იმასთან ერთად, რომ დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთსა და სამეგრელოში მძიმე პოლიტიკური და კრიმინოგენული ვითარება შეიქმნა. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ჩვენი ქვეყნის მტრები, სხვადასხვა ჯურის ბოროტმოქმედნი აფეთქებენ ხიდებს, ყრიან რკინიგზის ლიანდაგებს, რითაც მოუშუშებელ ჭრილობებს აყენებენ ჩვენს ისედაც დადამბლავებულ ეკონომიკას.

იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს აფეთქებული ხიდების აღდგენა, მაგისტრალური საავტომობილო გზების გაცოცხლება, „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტთან საუბარში სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის" თავმჯდომარემ ბორის ხარალიძემ განაცხადა:

— ჩვენი საგზაო მუშაკები ურთულეს პირობებში, ხშირად სიცოცხლის რისკის ფასად დაუცხრომლად შრომობენ აფეთქებული ხიდების აღსადგენად. საკმარისია ითქვას, რომ მათ მარტო თბილის-სენაკ-ლესელიძის მაგისტრალური საავტომობილო გზის სოხუმ-ოჩამჩირე-სენაკის მონაკვეთზე აღადგინეს 9 ხიდი, რომელთა საერთო სიგრძე 261 მეტრია. ასევე აღდგენილია 200 მეტრი სიგრძის ხიდი სენაკ-ფოთ-სარფის საავტომობილო გზაზე (ქ. ფოთთან მდინარე მალთაყვაზე).

ბევრი ხიდია აღდგენილი რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე: სენაკის რაიონში — მდინარე ცივზე, აბაშის რაიონში — რიონზე, საგზაო მუშაკებს ზოგიერთი ხიდის (მაგალითად, მდინარე ტუმუშზე — სოფელ ტამიშთან და მდინარე ჯუმზე — სოფელ ცაიშთან) ორჯერ და მეტჯერ აღდგენაც მოუხდათ. ხიდების აღდგენის მეტად საპასუხისმგებლო უბანზე ნაყოფიერად იშრომეს კონცერნ „საქავტოგზის" აფხაზეთის საგზაო გაერთიანებამ (უფროსი — ჯ. შერვაშიძე), გაერთიანება „ავტოხიდმა" (გ. გუბელაძე), გორის ხიდების სამშენებლო სამმართველომ (ა. ამირიძე), ხობის საგზაომ (რ. აბრამია), ფოთის საგზაო-საექსპლოატაციო უბანმა (რ. კვარაცხელია) და სხვებმა.

ენერგეტიკოსები ცდილობენ...

9 ნოემბერს დილით, როგორც „საქენერგოს" მთავარმა ინჟინერმა ლერი ძნელაძემ თქვა, სოხუმი კვლავინდებურად უელექტროდ იყო. ელექტროენერგიის მიწოდების თუნდაც ნაწილობრივ განახლების მიზნით სრულდება აღდგენითი სამუშაოები მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის შრომა-ახალშენის მე-16 კილომეტრზე. ნორმალურად ფუნქციონირებს სოხუმის ჰიდროელექტროსადგური. მაგრამ ქალაქში ელექტრობის სრული მიწოდებისათვის საჭიროა აღდგეს გუდაუთა-ტყვარჩელის მხრიდან ელექტროგადამცემი ხაზი — 220, რაც შესაძლებელია შექმნილ სიტუაციაში, აგრეთვე მაღალი ძაბვის ანძა სოფელ მერკულთან და ოჩამჩირესა და კინდღას შორის 26 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი — 110.

ამასობაში სამეგრელოს სოფლებთან ცაცხვთან და ნაკიანთან ბანდიტები შემკეთებლებს საშუალებას არ აძლევენ დაიწყონ სამუშაოები 220 და 500-ელექტროგადამცემი ხაზის დანგრეული ანძების აღსადგენად. დაზიანების გამო რუსეთის ტერიტორიაზე კვლავინდებურად უმოქმედოდ არის ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი". რუსეთის ენერგეტიკოსები გვპირდებიან, რომ უახლოეს მომავალში აამოქმედებენ ამ ხაზს. თურქეთი რესპუბლიკას ყოველდღიურად აწვდის 80 მეგავატ ელექტროენერგიას.

თენგიზ ჩხიკვაძე.

პარტიებსა და მოძრაობებში

„ქარტია—91"-ის დეპუტაციის განცხადება

1992 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის არჩევასთან დაკავშირებით, დეპუტაციას ორგანიზაციული გადაწყვეტილება არ მიუღია. ვგრძნობდით, რა, სიტუაციის სირთულეს, თითოეულმა ჩვენგანმა ინდივიდუალურად გააკეთა არჩევანი, თუმცა, გარკვეულწილად ჩვენი განწყობილებანი გამოიხატა ბატონ ირაკლი მელაშვილის გამოსვლით.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება ჩვენთვის შეურაცხმყოფელად მივიჩნიეთ, რის გამოც, „ქარტია-91"-ის დეპუტატებმა გადავწყვიტეთ, მონაწილეობა არ მიგვეღო ამ პროცედურაში. განცხადება კეთდება კენჭისყრის შემდეგ, შედეგების გამოცხადებამდე, რათა ზემოქმედება არ მოგვეხდინა პარლამენტართა გადაწყვეტილებაზე.

თედო პაატაშვილი, მალხაზ კვანჭილაშვილი, გელა კობერიძე, ირაკლი მელაშვილი, მერაბ ურიდია, მალხაზ დვალიშვილი, თენგიზ დიხამინჯია.

1992 წლის 8 ნოემბერი.

მკითხველის თხოვნით

ვინ რამდენია, ჩვენი მეზობლები?

პატივცემულო რედაქციავ, იქნებ გაზეთის საშუალებით გაგვაცნოთ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა რაოდენობა.

ხათუნა უზნაძე, სტუდენტი.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა რაოდენობა
(მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით; ათასობით)

	ყოფილ საბჭოთა კავშირში	თავიანთ ავტონომიურ ფორმირებებში
ადიღეელები	125	95
ყარაჩაელები	156	129
ჩერქეზები	52	40
ყაბარდოელები	391	363
ბალყარელები	85	71
ოსები	598	335
ჩეჩნები	957	734
ინგუშები	237	164
ხუნძები	601	496
ლეკები	466	204
ლაკები	118	92
დარგინელები	365	280
ყუმიხები	282	232
ტაბასარანელები	98	78
ნოღაელები	75	28

საქართველოს მოსაზღვრე ავტონომიური ფორმირებების მოსახლეობა შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება. ადიღეს ავტონომიურ ოლქში ცხოვრობს 432 ათასი კაცი, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში — 415 ათასი, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 754 ათასი, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 632 ათასი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 1270 ათასი, ხოლო დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 1802 ათასი კაცი. სულ აღნიშნული ავტონომიური ფორმირებების მოსახლეობა 5305 ათას კაცს შეადგენს. აქ მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის წილი მოსახლეობის მთელ რაოდენობაში 63,6 პროცენტს უდრის, ხოლო რუსებისა — 25,6 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებში შობადობის დონე მაღალია. ძირითადად ამ მიზეზის გამო ჩეჩნების რაოდენობა თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე 4,2-ჯერ გაიზარდა. 1897 წელს რუსეთის იმპერიაში 226 ათასი ჩეჩენი ცხოვრობდა.

განსაკუთრებით დიდია შობადობა დაღესტნის ხალხებში. შესაბამისად მაღალია აქ ბუნებრივი მატებაც, კერძოდ, თუ 1989 წელს დაღესტანში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე მატება შეადგენდა, საქართველოში შესაბამისი მაჩვენებელი თითქმის სამჯერ ნაკლები — 8,1 იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაღესტანში მრავალი ეროვნება ცხოვრობს: ხუნძები, ლეკები, ლაკები, დარგინელები, ყუმიხები, ტაბასარანელები, ნოღაელები, თათები, ცახურები და სხვანი.

ამიერკავკასიაში საქართველოს მოსაზღვრე აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოების მოსახლეობა შესაბამისად 7 მილიონსა და 3,3 მილიონს უდრის, ხოლო საქართველოსი — 5,4 მილიონს. იმის გამო, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები, კერძოდ, შობადობა და ბუნებრივი მატება საქართველოში მცირეა. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ქართველების წილი ამიერკავკასიის მკვიდრ მოსახლეობაში. ასეთი ვითარების შედეგია ისიც, რომ, თუ მთლიანად ქართველები 1926 წელს ამიერკავკასიაში მეტნი იყვნენ სომხებზე 465 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელებზე — 145 ათასით, სამოციოდე წლის შემდეგ, 1989 წელს, ამიერკავკასიაში ქართველებს სომხები აღემატებიან 108 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელები — 2394 ათასით. ამჟამად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობს 6770 ათასი აზერბაიჯანელი, 4623 ათასი სომეხი და 3981 ათასი ქართველი. საკუთრივ თავიანთ რესპუბლიკებში კი 5804 ათასი აზერბაიჯანელი, 3083 ათასი სომეხი და 3787 ათასი ქართველი. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მსოფლიოში ქართველების რაოდენობა დაახლოებით 5 მილიონს უდრის, სომხებისა — 7 მილიონს, ხოლო აზერბაიჯანელებისა — 16 მილიონს.

ანზორ თოთაძე.

ედუარდ შევარდნაძე:

ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ღირსეულად გამოვიდეთ აფხაზეთის ომიდან, რომელშიც ამდენი ხალხი იღუპება

(დასასრული)

მდგომარეობა კი, მოგეხსენებათ, სახარბიელო არ არის. ამიტომ, ვიმეორებ, ამას ჩვენ ამ გაგებით უნდა შევხედოთ.

ვფიქრობ, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ პარლამენტის წევრთა უმრავლესობა, დიდი ნაწილი სადად მოაზროვნეა და მჯერა, მათთან ბევრი სერიოზული გადაწყვეტილება წინააღმდეგობის გარეშე იქნება მიღებული.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძე შეეხო აფხაზეთში შექმნილ ვითარებას და აღნიშნა, რომ მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის და მთავარსარდლის მოვალეობაა, დღეიდანვე შეუდგეს მუშაობას იმისათვის, რომ ღირსეულად გამოვიდეს ამ ომიდან, სადაც ამდენი ხალხი იღუპება. ჩემთვის, აღნიშნა მან, ახლა ძნელია ვთქვა ყველაფერი, რასაც მოვიმოქმედებ, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ ჩვენი ყველა რეზერვი, მთელი რესურსები მაქსიმალურად უნდა ამოქმედდეს. ახლა ჩვენ ვქმნით საბჭოს სტრუქტურებს, ისინი სამხედრო საქმის სპეციალისტებით და კონსულტანტებით დაკომპლექტდება.

პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, მეც და მთავრობამაც, ის არის, რომ მოვთხოვოთ ყველას, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა. უნდა გითხრათ, ბევრი ჩვენი ხელმძღვანელი ამ მოვალეობას ისე ვერ ასრულებს, როგორც საჭიროა. სოხუმის მაგალითი ავიღოთ. ქალაქი უკიდურესად აუტანელ მდგომარეობაში აღმოჩნდა — წყალი არ არის, ტრანსპორტი არ მუშაობს, სინათლე არა აქვთ. ასეთი სიტუაცია ჩვენი ხელმძღვანელებისთვის, ცხადია, საგანგებო უნდა ყოფილიყო და ის მინისტრები, რომლებსაც ეს საკითხები ეხებათ, დაუყოვნებლივ უნდა ჩასულიყვნენ იქ, თვით ცეცხლის ხაზზე გასვლაც რომ გამხდარიყო საჭირო. ეს იგივე პოსტია, სადაც ახლა ისინი უნდა იდგნენ. არავის არა აქვს უფლება, საქმე მიატოვოს და ახლა ასეთი ფუფუნების ნება მისცეს საკუთარ თავს. უფრო მეტიც, გუშინ გავიგე, რომ მთელი თვე, თურმე, სოხუმში გაზი არ ყოფილა, სადღაც გაზსადენი გაწყვეტილა, აღდგენაზე კი არავის უფიქრია...

ახლა ის დროა, რომ ყველამ იღონოს ის, რაც შეუძლია მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, შესაბამის ზომებს მიიღებს თავდაცვის სახელმწიფო საბჭოც. თუ ასე არ მოხდა, მე მგონი, პარლამენტი დაგვიჭერს მხარს, რომ ვუთხრათ ამ ხალხს, სხვებს დაუთმონ ადგილი.

შეეხო რა საქართველოში გაეროს დროებითი წარმომადგენლობის გახსნის ფაქტს, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისთვის. ამ წარმომადგენლობის ფუნქცია ის იქნება, რომ გაეროს და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებს მიაწოდოს საკუთარი ოპერატიული ინფორმაცია, რომლის ობიექტურობაშიც ეჭვის შეტანა უკვე არავის შეუძლია. წარმომადგენლობას ახლა თავისი ოფისი სჭირდება, ისევე, როგორც მთელი რიგი ქვეყნების საელჩოებს, რომლებიც შენობების მიღებას ელოდებიან. სამწუხაროდ, გვიჭირს, ამ საქმეშიც — შენობები ზოგი გაყიდულია, ზოგი გაჩუქებული.

პარლამენტის პრესცენტრი.

შეხვედრა გაეროს დროებით წარმომადგენელთან

9 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ **ედუარდ შევარდნაძემ** მიიღო გაეროს მისია, რომელსაც გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი **ფეოდორ სტარჩევიჩი** მეთაურობს. ბატონი სტარჩევიჩი გენერალური მდივნის პირადი რწმუნებით ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში და იგი გაეროს დროებითი წარმომადგენლის მოვალეობას შეასრულებს.

ედუარდ შევარდნაძემ მადლობა უძღვნა გაეროს გენერალურ მდივანს წარმომადგენლობის გახსნის საკითხის ასე ოპერატიულად გადაწყვეტისთვის და დასძინა, რომ საქართველოს პარლამენტი, რომლის პირველმა სხდომებმაც წარმატებით ჩაიარა, იმ გარანტიების ერთგული იქნება, რომლებიც საქართველომ მისცა საერთაშორისო თანამეგობრობას.

ჩვენი ქვეყანა, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, არ გადაუხვევს დემოკრატიული რეფორმების ერთხელ არჩეულ გზას, რომელსაც მხარს უჭერს მთელი ჩვენი ხალხი.

— გაეროს მთლიანად აქვს გათვითცნობიერებული თქვენი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და ყველაფერს გააკეთებს დახმარებისათვის, — აღნიშნა სტუმარმა, — როგორც თქვენი ხალხის, ისე მთელი მსოფლიოს მზერა თქვენკენ არის მომართული, რომ ამ რთულ რეგიონში ვითარება არ გაუარესდეს. გაეროს გენერალური მდივანი ისე ჩქარობდა საქართველოში წარმომადგენლობის გახსნას, რომ ზოგიერთი საკითხი წესის გვერდის ავლითაც კი გადაწყვიტა. მე წილად მხვდა პატივი, ვიყო ხიდი საქართველოსა და გაეროს შორის და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ეს ხიდი საიმედო იყოს. ჯერ დროებითი წარმომადგენელი ვიქნები, მალე კი მუდმივი წარმომადგენლობა გვერქმევა. თებერვალში ჩვენ შემოგვიერთდება გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელიც. ეს დამოუკიდებელი ინსტიტუტია, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აერთიანებს.

ფეოდორ სტარჩევიჩი:

„შეგვიძლია, ვიკისროთ შუამავლის როლი"

გაეროს წარმომადგენლის პირველი პრესკონფერენცია

გუშინ კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში ბატონმა ფეოდორ სტარჩევიჩმა გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს გალის საგანგებო წერილი გადასცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიკვაიძეს, რითაც დასაბამი მიეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობის ამოქმედებას საქართველოში.

შეხვედრისა და რწმუნებათა სიგელის გადაცემის შემდეგ ბატონმა ფეოდორ სტარჩევიჩმა და მასთან ერთად ჩამოსულმა გაეროს ეკონომიკური განვითარების პროგრამების წარმომადგენლებმა, ბატონებმა ივ დე სანმა და ხოზე ლიადისმა გამართეს პრესკონფერენცია ქართველი ჟურნალისტებისათვის.

—დღეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან, შემდგომ კი ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძესთან შეხვედრებზე, აღნიშნა ბატონმა ფეოდორ სტარჩევიჩმა, განვიხილეთ აქტუალური საკითხები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ დახმარებასთან, გაეროს წარმომადგენლობას რომ შეუძლია გაუწიოს საქართველოს. ჩვენი წარმომადგენლობა იქნება ის რგოლი, რომელიც გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის გახსნამდე უშუალოდ დააკავშირებს თქვენს რესპუბლიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან.

ეს საქართველოს შესაძლებლობას მისცემს დაამყაროს მჭიდრო კავშირი გაეროსთან, რაც მის მთავრობას უზრუნველყოფს ყველა იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც მას ესოდენ სჭირდება.

ჩვენ გვექნება შესაძლებლობა თვალყური ვადევნოთ საქართველოში პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას და ამის შესახებ ობიექტური ინფორმაცია მივაწოდოთ როგორც გაეროს, ისე მთელ მსოფლიოს. ამასთან, წარმომადგენლობას ექნება საი[illegible] საქართველოს [illegible] საშუალებებს რეგულარულად მიაწვდით მასალებს იმის შესახებ თუ რა ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ერთი სიტყვით, საქართველოს უნდა ჰქონდეს ყველა ის ინფორმაცია, რასაც ფლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ამ მიზნით, შევქმნით საგანგებო საინფორმაციო სამსახურს. რაც შეეხება ჩვენს საერთო მიზანს, იგი გახლავთ საქართველოს მთელი ხალხის ინტერესების დაცვა.

შემდეგ ჟურნალისტთა თხოვნით ბატონმა ფეოდორ სტარჩევიჩმა გაგვაცნო თავისი თავი. იგი წარმოშობით იუგოსლავია. 1971 წლიდან არის დაკავშირებული გაეროსთან, სადაც ორჯერ იყო იუგოსლავიის წარმომადგენელი. 1984-86 წლებში მუშაობდა გაეროს ინფორმაციის დეპარტამენტში, რის შემდეგაც დაბრუნდა იუგოსლავიაში დიპლომატიურ სამუშაოზე. საქართველოში გამომგზავრებამდე ბა[illegible] მეთა რწმუნებული ლონდონში.

ახლა ჩვენი მთავარი ძალისხმევა უნდა მივმართოთ იქითკენ, თქვა მან, რომ საქართველოში აღდგეს მშვიდობა და ეროვნული მთლიანობა, რაშიც ჩვენ შეგვიძლია ვიკისროთ შუამავლის როლი.

ბატონმა ფეოდორ სტარჩევიჩმა და გაეროს ეკონომიკური განვითარების პროგრამის წარმომადგენლებმა, ბატონებმა ივ დე სანმა და ხოზე ლიადისმა უპასუხეს ქართველ ჟურნალისტთა შეკითხვებს.

გია ჭელიძე.

თითო კითხვა პარლამენტარებს

ოღონდ ქვეყანას უშველეთ...

(დასასრული)

რეხი შემოქმედებაა. „ცისფერი მთების" მერე კი მისი ახალი ფილმი აღარ გვინახავს. მაგრამ ჩემი საყვედური უსაგნო გამოდგა. ახალი ფილმი „ექსპრეს-ინფორმაცია", თურმე თითქმის მზად არის, იგი უკვე სამონტაჟოშია და დაახლოებით ერთ თვეში დადგება ფეხზე. აბსურდული ტიპის დრამა თუ კომედია ჩვენ დღეებს ეხმაურება, რაზეც ფილმის სახელწოდებაც მიუთითებს.

ჩემ თანამოსაუბრესთან შეკითხვა კი არა, თხოვნა მაქვს. კომენტარი მინდა გაუკეთოს ერთ ფაქტს: იგი კომუნისტებისდროინდელი პარლამენტის, აგრეთვე „მრგვალთა" უზენაესი საბჭოს და ახლანდელი პარლამენტის წევრია.

— და კიდევ საკავშიროსი... — თავად ამატებს.

— მით უმეტეს.

— თუ რაიმე ერთი ნიშნით გამოვარჩევთ ამ პარლამენტებში ჩემს მოღვაწეობას, მეტად არაორდინარულ სურათს მივიღებთ: საბჭოთა საქართველოს უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში აღმოვჩნდი არა როგორც პერსონალურად ელდარ შენგელაია, არამედ როგორც რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე. ამ საბჭომ ვადაზე ადრე შეწყვიტა არსებობა, რადგან მრავალპარტიული არჩევნების შესახებ კანონი მიიღეს. ამ კანონის მიღებაში ძალზე აქტიურად ვმონაწილეობდი, ამიტომ ვფიქრობ, რომ საბჭოს დაშლაში დიდი როლი მიძევს.

წინა ხელისუფლების უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში მე და ჩემმა თანამოაზრეებმა შევქმენით ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრი", რითაც ფაქტობრივად დაიწყო იმ პარლამენტის დაშლის პროცესი.

რაც შეეხება საკავშირო პარლამენტს, ჩვენს მიერ 9 აპრილის მოვლენებისადმი ყურადღების აგრერიგად გამახვილებამ შეიძლება გადამწყვეტი არა, ყოველ შემთხვევაში პატარ-პატარა ბზარები მაინც გაუჩინა მას. ასე რომ თავად განსაჯეთ... კიდევ კარგი აქ სპიკერად არ ამირჩიეს..

ვაჟა ადამია (სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება): პარლამენტართა ურთიერთგანწყობილებაზე ბევრია დამოკიდებული.

ბატონი ვაჟა ადამია კვლავ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. „ნუთუ სათქმელი არაფერი აქვს?" (ეს მკითხველის კითხვაა). თავად არა, სამაგიეროდ მისი საზოგადოების წევრებს დავით კუპრეიშვილს, გიორგი ხავთასს პასიურობას ვერ დასწამებთ. ისიც ნათლად ჩანს, რომ რიგი აქტუალური საკითხებისა წინასწარ, სწორედ საზოგადოებაშია დამუშავებული. იქნებ ვცდები.

კითხვა: თქვენი საზოგადოების წევრების მიერ მიკროფონთან გამოთქმული მოსაზრებები, პოზიცია, ყოველთვის ემთხვევა თქვენსას, თუ სიტუაციას ჩვენი გაზეთის ერთი რუბრიკა უფრო გამოადგება — „ყველას თავისი აზრი აქვს?"

პასუხი: თავისი აზრი, რასაკვირველია, ყველას აქვს, მაგრამ ემთხვევა თუ არა იგი ჩემსას, ეს პრობლემას გააჩნია. როდესაც ისეთი საკითხები ისმება, რომელთან დამოკიდებულებაში საზოგადოების პოზიცია უნდა გამოიხატოს, წინასწარ ვთათბირობთ, ხოლო ერთ-ერთი ჩამოაყალიბებს და გააცნობს მას აუდიტორიას. არის შედარებით წვრილმანი თემები, რომლებთან დაკავშირებით გამოსათქმელ აზრს წინასწარ შეთანხმება არ სჭირდება. მაშინ ყველა მხოლოდ საკუთარ აზრს ამბობს.

— ასეთი აზრი კი ასეთს „ჭრელ" პარლამენტში საკმარისზე მეტია.

— კი, მაგრამ, ვერ დავუკარგავ, ყველა ცდილობს, რამდენადაც შესაძლებელია, შეაჯერონ ეს აზრები. კეთილგანწყობილება შეიგრძნობა და ეს მაიმედებს, რადგან აი, ამ განწყობილებაზე და ახლადარჩეულ ხელმძღვანელობაზეა ძირითადად დამოკიდებული იმ სახლის მშენებლობა, რომელშიც მომავალში უნდა ვიცხოვროთ.

რუსუდან ბერიძე (ბლოკი „მშვიდობა"): მერაბ კოსტავას სახელის გვერდით ხმამაღალი ეპითეტების მოხმობა მის სახელს ვერაფერს მატებს.

პარლამენტის სპიკერის მოადგილეების არჩევის დღეს იაკობ ცურტაველს ქალბატონ ლია ცინდელიანის გამოსვლისათვის რომ მოესმინა, როდესაც მან მეტოქეს —ქალბატონ რუსუდან ბერიძეს გამარჯვება მიულოცა, უკან წაიღებდა თავის სიტყვებს — „დედათა ბუნება იწრო არს". გამომსვლელმა სულგრძელად გაუსვა ხაზი მეტოქის უპირატესობას ამ თანამდებობაზე არჩევისას და გულწრფელად მიულოცა წარმატება.

ხოლო ქალბატონ რუსუდანის პასუხში ჩემ მიერ სულ სხვა კითხით დასმულ კითხვაზე (ინტერვიუს მასთან, როგორც სპიკერის მოადგილესთან, შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ) ღირსეული მანდილოსნის ასევე სულგრძელი პოზიცია გამოიხატა.

კითხვა: მერაბ კოსტავას ხსოვნის უკვდავსაყოფად მიღებულ დოკუმენტში თქვენი თხოვნით კონტექსტიდან „სულმნათი მერაბ კოსტავა" ამოღებულ იქნა სიტყვა „სულმნათი", რატომ?

პასუხი: ჩემი აზრით, მერაბ კოსტავას სახელის გვერდით ასეთი ხმამაღალი ეპითეტების მოხმობა მის სახელს ვერაფერს მატებს. მე მერაბს სხვაზე უკეთ ვიცნობდი და მისი სამრეკლოდან ვუყურებ ყველაფერ იმას, რაც დღეს ხდება. დარწმუნებული ვარ, ვიცი, რომ თავად მისთვის მიუღებელი იქნებოდა ასეთი გამოთქმა, ამიტომაც მოვითხოვე მისი ამოღება.

ლუიზა შაქიაშვილი (ბლოკი „მშვიდობა"): სხდომებზე უფრო მძაფრად ვკამათობთ, ვიდრე კულისებში.

დალხენილ კაცს რა უჭირს, გადაღლებულია და გარშემო ყველას სიტყვას აფთიაქის სასწორზე არ წონის. ჩვენ კი ყველა ასე თუ ისე მწვავე გამოსვლის მიღმა უკვე განხეთქილება გველანდება. გაჭირვებამ გაგვხადა ზედმეტად ეჭვიანებიც. ასეა, რძით პირდამწვარი დოსაც უბერავს ხოლმე.

პარლამენტის პირველ სხდომაზე, ბატონების ნოდარ ნათაძის და ვახტანგ რჩეულიშვილის წაკამათებისას, რაც საგნობრივად ქალბატონ ლუიზა შაქიაშვილს არ შეეხებოდა, მაგრამ მისი, როგორც სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, ტრიბუნაზე ზედმეტად შეჩერება გამოიწვია, გამწყრალმა ქალბატონმა თავისთვის ჩაილაპარაკა — „არ შემეშვებ?!..." მიკროფონი იმის მიკროფონია, არაფერი დაეკარგოს და ნათქვამი საქართველომ მოისმინა. ეს უბრალო ემოცია იყო თუ უფრო სერიოზული განხეთქილების დასაწყისი თუ გამოხატულება? — აი, ეს მაინტერესებს.

პასუხი: სხდომაზე სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ ამირჩიეს, რამაც ჩემთვის უჩვეულო როლში ჩამაყენა. ერთბაშად ისე ვერ გავითავისე იგი, როგორც საჭირო იყო. ცოტა გამოუცდელობა, ცოტა ჩემი ფიცხი ხასიათი (ხომ იცით, ის ქალი არა ვარ, ვინმეს თავს ვაწონებდე) და... უფრო სერიოზული — ნამდვილად არაფერი, შეგიძლიათ მერწმუნოთ.

იცით რა მაიმედებს? დარბაზში, სხდომებზე გაცილებით უფრო ცხარე კამათია, ვინემ ფოიეში. აქ მეგობრებად ვრჩებით. ისიც მომხდარა, ცხარე გამოხდომისთვის მავანს ბოდიში მოუხდია, თავისი სიტყვა უკან წაუღია, ძალიან ვცდილობთ, ყველაფერი ისე გამოვარკვიოთ, რომ შეურაცხყოფილი არავინ დარჩეს.

რას იზამთ, ჩვენი სხდომები რაფინირებულობით შეიძლება არ გამოირჩევა, მაგრამ ურთიერთგაგება, კეთილგანწყობილება და საქმის კეთების სურვილი არის, მერწმუნეთ, და ეს უმთავრესია. დანარჩენს ნელ-ნელა ვისწავლით, ვისწავლით სხვადასხვა პოზიციის უმტკივნეულოდ შეჯერებას და ერთის — ქვეყნისათვის სასიკეთოს გამომუშავებას, ვისწავლით ერთმანეთის უფრო მეტ პატივისცემასაც, ერთი სიტყვით — ნამდვილ დემოკრატიას. მე მწამს!

თედო პაატაშვილი („ქარტია-91"): „ოპოზიცია ჩვენი პოზიცია არ არის...

შეკითხვა: ხალხი მიიჩვია, რომ თქვენ მუდამ ოპოზიციაში ხართ. ახლა ჯერჯერობით ამგვარი რამ არ იგრძნობა. რა ხდება? „ქარტია-91"-მა ზნე ხომ არ იცვალა?

პასუხი: არ შეიძლება ოპოზიციაში იყო ჯერ ჩამოუყალიბებელ მთავრობასთან, ხელისუფლებასთან, თანაც ოპოზიცია ჩვენი პოზიცია არასოდეს ყოფილა. ჩვენს პოზიციას ადრეც და კვლავაც განაპირობებს ის მიმართულება, რომელსაც აირჩევენ ახლად დაკომპლექტებული მთავრობა და პარლამენტი თავისი უმრავლესობით. იმასაც გეტყვით, რომ დარწმუნებული ვარ, კონსტრუქციული ელემენტები არ დაიკარგება არც ჩვენს, არც მათს პოზიციებში.

ფაქტის კონსტატაცია: ეს საუბარი უკვე ჩაწერილი მქონდა, როდესაც „ქარტია-91"-მა მთავრობის მეთაურის ხელახალ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

მკითხველს: ამასობაში სესიის სხდომათა დარბაზში დიდი ვნებათა ღელვაა. ჩნდება კითხვები: მოგვწერეთ. არა მგონია, რომელიმე თქვენი რჩეულთაგანი პასუხის გაცემას დაგზარდეთ.

გალინა ხარებაშვილი.

გამოიწერეთ!

ყოველდღიური ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს მხარში ამოუდგებიან

ტრადიციული,
ოპერატიული,
ყველაზე იაფი
სახალხო გაზეთი

გახსოვდეთ: ხელმომწერთათვის ჩვენი გაზეთის ერთი ეგზემპლარი ღირს მხოლოდ 1 მან და 80 კაპ. საცალო ვაჭრობაში კი 3 მანეთად გაიყიდება.

გაისად, ინფლაციის მიუხედავად, გაზეთის ფასს შევინარჩუნებთ.

ხელმოწერა ნახევარი წლით მხოლოდ 234 მანეთი ღირს (ანუ 2 კილოგრამი მჭადის ფქვილისა და 100 გრამი ყველის ფასი), ერთი წლით კი 468 მანეთი დაგიჯდებათ.

იმათ კი, ვისაც მთლიანად 1992 წლისთვის ჰქონდა გამოწერილი ჩვენი გაზეთი და დამატებითი ხელმოწერის გამოცხადების შემდეგ გადაიხადა 6 თვის ნომრების ღირებულება 110 მანეთი ან 4 თვისა — 68 მანეთი, სათანადო ქვითრების წარდგენის შემთხვევაში ეს თანხა [illegible] ხელმოწერის ღირებულებაში ჩაეთვლებათ.

ხელმოწერის დამთავრებამდე ცოტა დრო რჩება!

იჩქარეთ, არ დაგიგვიანდეთ 1993 წლისათვის ხელმოწერის გაფორმება!

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გაიხსნა ყრილობა

ევროპის სოციალისტური პარტიის შექმნა ჰააგაში გახსნილი ევროპის გაერთიანების წევრი ქვეყნების სოციალისტურ პარტიათა კავშირის ყრილობის დღის წესრიგის ძირითადი საკითხია. ორი დღის მანძილზე „საერთო ბაზრის" სახელმწიფოთა და ავსტრიის 16 სოციალისტური პარტიის 500-მდე დელეგატი, აგრეთვე ასოცირებული პარტიების წარმომადგენლები განიხილავენ ევროპის შემდგომი გაერთიანების პერსპექტივებს და მიიღებენ „ჰააგის დეკლარაციას", რომელშიც გამოცხადებული იქნება ახალი რეგიონალური პოლიტიკური გაერთიანების შექმნა.

ფორუმზე გაიმართება აგრეთვე ევროპის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის არჩევნები. ვარაუდობენ, რომ ახალი პარტიის ფარგლებში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

რეფორმა წინ წაიწევს

„მე არ ვიცი, დარჩება რუსეთის მთავრობა, თუ, გადადგება, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გაუძლებს რეფორმა, რომ იგი წინ წაიწევს". ეს განაცხადა რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა გიორგი ხიჟამ საკვირაო ტელეპროგრამით „იტოგით" გამოსვლისას.

რეფორმა, თქვა მან, უნდა განვითარდეს უფრო ეფექტიანად, მოსახლეობისა და ქვეყნისათვის ნაკლები დანახარჯებით. „მე არ ვიცნობ ისეთ ძალებს, განსაკუთრებით მრეწველთა შორის, ხაზგასმით აღნიშნა ვიცე-პრემიერმა, — რომლებიც შეეწინააღმდეგებოდნენ რეფორმას. პირიქით, ყველა ეს ადამიანი ახლა იღვწის რეფორმების ეფექტიანობის ზრდისათვის, არა დამანგრეველი, არამედ ისეთი შედეგებისათვის, რომლებიც საშუალებას მისცემს ქვეყანას იაროს წინ და იცხოვროს უკეთ, ვიდრე ჩვენ ახლა ვცხოვრობთ".

სესია ბრიუსელში

ევროპის გაერთიანების წინაშე უკანასკნელ ხანს წამოჭრილ მთელ რიგ სერიოზულ პრობლემებს განიხილავს ევროპის გაერთიანების საბჭოს სესია. მასში მონაწილე საგარეო საქმეთა მინისტრები განიხილავენ ვითარებას, რომელიც შეიქმნა „თორმეტის" მიერ პოლიტიკური და სავალუტო — ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ მაასტრიხტის შეთანხმებათა ამოქმედებასთან დაკავშირებით. ამ საჩოთირო პრობლემას უკავშირდება საკითხთა ჯგუფი, რომლებიც ეხება ევროპის გაერთიანებაში ახალი წევრების. უწინარეს ყოვლისა ავსტრიის, შვეციისა და ფინეთის მიღებას.

უკანასკნელ მომენტში სესიის დღის წესრიგში შეიტანეს სავაჭრო სანქციების საკითხი, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადა ევროპის გაერთიანების წინააღმდეგ. საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა მეთაურებმა უნდა განსაზღვრონ მიიღებს თუ არა „თორმეტი" საპასუხო ზომებს მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა გადაწყვიტა მკვეთრად გაზარდოს საბაჟო გადასახადები დასავლეთ ევროპის მთელ რიგ საქონელზე, რამაც შეერთებული შტატები და ევროპის გაერთიანება სავაჭრო ომის ზღვარზე დააყენა.

თითო აბზაცით

- **აზერბაიჯანის** პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება პასუხისგებაში მისცეს რესპუბლიკის ექს-პრეზიდენტი აიაზ მუთალიბოვი, რომელსაც ბრალად ედება ამა წლის 14-15 მაისის პრეზიდენტის ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობა.
- **მოსკოვში** ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჯეიმს კარტერი. ამერიკელი სტუმარი შეხვდება რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს და შემდეგ ალმაათაში გაემგზავრება.
- **ორმა** საკმაოდ საგრძნობმა მიწისძვრის ბიძგმა გააღვიძა ავსტრიის რესპუბლიკის დედაქალაქის მახლობლად მდებარე ქალაქ ვინერ-ნოიშტადტის მცხოვრებნი. მიწისძვრის ძალამ შეადგინა 3,1 ბალი რიხტერის სკალით, მსხვერპლი და ნგრევა არ არის.
- **თურქეთი** რუსეთში შეისყიდის 80 მილიონი დოლარის 20 ვერტმფრენს, ჯავშანტრანსპორტიორებსა და სხვა სამხედრო ტექნიკას, განაცხადა ხუთშაბათს თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ისმეთ სეზგინმა. მინისტრმა უარი თქვა დაეკონკრეტებინა გარიგების დეტალები.
- **ორშაბათს** რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი ოფიციალურ ორდღიან ვიზიტად ჩავიდა დიდ ბრიტანეთში. მან ჰითროუს აეროპორტში განაცხადა, რომ მოლაპარაკების დროს განიხილავენ პოლიტიკურ საკითხებს, დაიდება ხელშეკრულება ორმხრივი ურთიერთობის პრინციპების შესახებ.

სანთელი

სამშობლოსთვის დაწერწლილი ბიჭები

რა შავი დღე გაგვითენეთ ბიჭებო... ის საღამო კი ალბათ ყველაზე ბნელი იყო ჩამკვდარ აეროპორტში მომდინარე თქვენი ოჯახების წევრებისათვის, მეგობრებისა და ახლობლებისათვის...

რამდენი ხანია აღარ იცინიან ჩვენი ქუჩები. ერთმანეთის მოკითხვაზე, რაც ზოგჯერ უსიამოდაც გაგვკრავს ხოლმე გულში, დაგვიმკვიდრდა პასუხი: „როგორ ვიქნებით...“ და მაინც, ავღანელთა კავშირში ყველა ჩუმად ელოლიავებოდა იმედს, რომ თქვენ ვერაფერი მოგერეოდათ. ვფიქრობდით, არ არსებობდა ტყვია, თქვენს თვალებს სხივს რომ მოსწყვეტდა. ეჰ, ომი ომია და მის სასტიკ კანონებში არ არის გამორჩეული ჩემი და შენი, ან კი ვინ არის ჩვენი, სხვისი... მაგრამ თქვენ გიცნობდით, გხედავდით, ყოველდღე გელაპარაკებოდით, გვიყვარდით... ამიტომაც არ ვიკარებდით შავ ფიქრებს ახლოს... მოსახდენი კი მაინც მოხდა და ისე სასტიკად, რომ დავიბნენით. უცებ გავხდით ნუგზარის, ვაჟას, ვიტალის, კობას, სოსოს, ბადრის ჭირისუფლები. უნდა ვტიროდეთ, როგორც ასეთ დროს უხდება, მაგრამ ცრემლი არ მოგვდის, ჩვენი გონება ახლა მხოლოდ ერთითაა დაკავებული — ისე გაგაცილოთ უკანასკნელ გზაზე, თქვენ რომ გეკადრებათ. არაფერი შეგვეშალოს.

ჩვენ ერთად ყოფნის რამდენიმე დღე დაგვრჩა, ამიტომაც გვინდა ყველამ გაიგოს, რა საამაყო ბიჭები გვყავდით, როგორ შეგვეძლო მეგობრობა...

— ნუგზარ, „კავშირის“ გოგონები ამბობენ, სულ მისი ხმა ჩაგვესმის ყურში, კარის ყოველ გაღებაზე გვგონია, ის შემოვაო. იმასაც ამბობენ, ამ ბოლო ერთი-ორი თვის მანძილზე ძალიან შეიცვალაო, სხვანაირი გახდაო, პარლამენტის წევრობაც ძალიან ჩვეულებრივად მიიღოო. შენ ეს ამბავი სოხუმში გაიგე, მერე ორიოდე დღით ჩამოხვედი თბილისში, ალბათ ესეც იმიტომ, რომ შინ პირმშოს მომლოდინე ცოლი გელოდა. მასთან საუბარში წამოცდენია, ეგებ ვეღარც ჩამოვიდეო, მერე ვითომ შეგისწორებია, დიდხანს ვეღარ ჩამოვიდეო. შენმა თვალცრემლიანმა მაიკომ გვითხრა, მეც ვამჩნევდი ცვლილებას, უხეში არასოდეს ყოფილა, მაგრამ ამ ბოლოს მაინც ყველას მოფერება უნდოდა, ყველას დაყვავება, ნუგეშისცემა. ერთ რამეს მაინც ყველაზე დიდი სახოებით ელოდა — ვაჟის დაბადებას. ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა და ხშირად ამბობდა: მე და ჩემმა ბიჭმა ერთად უნდა ვირბინოთ სტადიონზეო. თვითონ სპორტის ოსტატი იყო, შვილიც ასე უნდოდა გაეზარდა...

თურმე არ ეწერა შენს ვაჟკაცს, მამისთვის ერთხელ მაინც მოეკრა თვალი, მაგრამ მას ყველაზე დიდი რამ დაუტოვე, რამაც იგი წელში გამართული უნდა ატაროს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ეს სიამაყის გრძნობაა იმის გამო, რომ მისი მამა ბრძოლის ველიდან დაჭრილი მეგობრების გამოყვანას შეეწირა. კიდევ რა გავიხსენოთ ნუგზარ შენი არც თუ ია-ვარდებით მოფენილი ცხოვრებიდან — ავღანეთი? სამაჩაბლო? ის, რომ ყოველივე ამის მიუხედავად, სულით მშვიდობიანი ცხოვრების ადამიანი იყავი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, და შენი ძირითადი საქმეც სწორედ ეს იყო, მაგრამ ბედისწერა არ დაგიდევს არაფერს. მან დაამსხვრია შენი ოცნების კოშკი და შენს ახალგაზრდა ქვრივს სამუდამო ტკივილად დაუტოვა.

მშვიდობით, ნუგზარ!..

ვაჟა. შენ 25 თებერვალს გახდები 28 წლის. შენხელა ბიჭებზე ამბობენ — ჯერ ბავშვია, გამოუცდელი, ბევრი რამ ეპატიებაო. ეს ნათქვამი შენ არ გეხება იმიტომ, რომ შენი ბავშვობა დიდი ხანია ძალიან შორს დარჩა, იქ, სადაც ავღანეთი დაიწყო. ავღანეთიდან კი ბავშვები აღარ ბრუნდებოდნენ. ო, ღმერთო, რამდენი რამ მოასწარი ამ შენი ოცდაორი თუ ოცდასამი წლის მანძილზე, რამდენი ომი და რამდენი სიყვარული. ვაჟა, საოცარია, მაგრამ შენ ბედნიერი კაცი ხარ და ჩვენ გვშურს შენი. იცი რატომ? იმიტომ, რომ ერთი დღე არ გიცხოვრია უსიყვარულოდ. ბევრი კი ღრმა სიბერეში ისე კვდება, ამის ნატვრაში ამოსდის სული. ბედის რჩეული აღმოჩნდი ვაჟა — სიკვდილშიც კი. 1989 წელს დაბრუნდი ავღანეთიდან — ნაჭრილობევი. ამავე წელს, 9 აპრილი უკვე შავად იყო ჩაწერილი ჩვენს კალენდარზე, შენი ცოლი დაერქვა ოთხ წელს ოცნებებში ნაფერებ პატარა, სიფრიფანა გოგოს. მერე ქვეყანას მოევლინა თქვენი სიყვარულის ნაყოფი, — ფუნჩულა ირაკლი, ახლა ის წლისა და ხუთი თვისაა. ჯერ წარმოდგენაც არა აქვს, რა არის „მამა“, მაგრამ დაჟინებით ცდილობს ამ სიტყვის წარმოთქმას.

შენზე ამბობენ, მეგობრების გარეშე ვერ წარმოედგინა სიცოცხლეო. სიკვდილიც მათთან ერთად ამჯობინე. სულ ერთად იყავით, ამიერიდან კი ვეღარაფერი გაგყრით უბნელებს, მეზობლებს, მეგობრებს და თანამებრძოლებს ვაჟას, ვიტალის, კობას, სოსოს.

მშვიდობით, ვაჟა, მშვიდობით ნათელო ბიჭო!



ვიტალი, სულ ერთი თვის დაწყებული გქონდა მუშაობა საზოგადოება „დელტაში“, მაგრამ აფხაზეთში შენი დაღუპვის ამბავმა მეხი დასცა ყველას. ბიჭებს კრიჭა არ ეხსნებათ, ლანდებივით ჩუმად დადიან. უზომოა მათი მწუხარება და თუ ვინმე იკითხავს, ვის გლოვობთო ასე, აი, იმას, სომეხი ბიჭი რომ იყოო, პასუხობენ. გამწარებული დედაშენი ყველას ერთად ტირის, მეგობრებში არ არჩევს თავის ერთადერთ ვიტალის, ასეთი სასახელო რომ გაუზარდა სამშობლოს და მასვე შესწირა. ახლახან გაამხილა საბრალო ქალმა, რომ მის ვაჟკაცს ჰაერის უკმარისობა აწუხებდა. ხშირად შუაღამისას წამომხტარა სუნთქვაშეკრული, დამშვიდებულს კი უთქვამს, ეს ფილტვებში ჩარჩენილი ავღანეთის ქვიშა მახსენებსო თავს.

ვიტალი. შენი მეგობრები ამბობენ, „უსაზღვროდ სამართლიანი და ვაჟკაცური იყოო, ბავშვობაში ოცნებობდა, ისეთი ძლიერი უნდა ვიყო, ყველა სუსტის დაცვა შევძლოო. ეს გრძნობა განსაკუთრებით გაუმძაფრდა ავღანეთიდან დაბრუნების შემდეგ. ერთხელ ტრამვაიში ქურდები ცემა, იქ ბიჭები ჯოჯოხეთში არიან, თქვენ კი აქ რას აკეთებთო...

მშვიდობით, კეთილო ბიჭო. სავანე ყოფილიყოს შენთვის ქართული მიწა, ქართული ცა კი სასუფეველი შენი წმინდა სულისა.

რა გითხრათ, კობა. ჩვენ დავცარიელდით ამდენი უბედურებისაგან. თქვენს ხსოვნას ვუფიცავთ, აღარ არსებობს ჩვენი პირადული ამბები. ყველა გაგვაერთიანა თქვენზე დარდმა. დედაშენიც, სხვა დედებივით, მარტო შენს თავს არ ტირის. შენი უმცროსი ძმაც, ზაზაც, არ ამბობს რომ, ერთი ძმა დაკარგა. და შენ ამისთვის, დარწმუნებული ვართ, არ გაგვკიცხავ იმიტომ, რომ მაგალითი თვითონვე მოგვეცი. დაეცი, იქ, სადაც შენი მეგობრები დაეცნენ, ბრძოლის ველზე. ვაჟკაცი იყავი და ვაჟკაცურად დაუსვი წერტილი შენს ცხოვრებას. არასოდეს მდგარხარ გვერდზე. პირველთა შორის იყავი სპიტაკშიც, ბოლნისშიც, ცხინვალშიც, აფხაზეთშიც. და ამაზე არასოდეს გიყვირია. ფიქრობდი, სხვანაირად შეუძლებელი იყო, ამადაც ბოლომდე თავმდაბალი, მოსიყვარულე დარჩი ყველას ხსოვნაში.

ერთი დიდი ოცნება გქცა აუხდენლად — გულის რჩეულთან აპირებდი თურმე შენი ცხოვრების დაკავშირებას. ვეღარ მოასწარი. კიდევ ის ვერ გაიგე, რომ სიკეთისთვის, სიმამაცისათვის, უდიდესი მომთხოვნელობისათვის, უპირველესად, საკუთარი თავის მიმართ პოლიციის ლეიტენანტის წოდება მოგენიჭა. შენმა ხელმძღვანელებმა გვითხრეს, სულ 7-8 თვეა დაიწყო მუშაობა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკოლოგიის პოლიციის სამმართველოში ოცეულის მეთაურად და ყველას შეგვაყვარა თავიო.

გზა მშვიდობისა, იმ ქვეყანას, სადაც ადრე თუ გვიან ყველა მოვალთ.

სოსო, ადამიანები იმდენად ვართ ამქვეყნიური ორომტრიალით თავბრუდახვეულნი, რომ ძალიან ხშირად არ ვფიქრობთ, რა დარჩება ჩვენი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ. ზოგჯერ იმასაც გავივლებთ გულში, ჯანდაბას ყველაფერი, თუკი მე არ ვიქნებიო. თურმე მწარედ ვცდებით და ეს ახლა დავინახეთ. ნეტავი იცოდე, რამხელა ტკივილი დატოვე, რამხელა სინათლე და სიყვარული. შენ, ოცდაერთი წლის ბიჭი ბრძენი აღმოჩნდი, გაცილებით ჭკვიანი ბევრზე და ძლიერი, რადგან ასეთი ცხოვრებისთვის მხოლოდ სურვილი ძალიან ცოტაა. შენმა მეგობრებმა, თანამებრძოლებმა მხოლოდ ახლა გაიგეს, რომ დიაბეტით იყავი დაავადებული და ყოველ დღე თვითონ იკეთებდი ნემსს. ბრძოლის ველიდანაც მხოლოდ იმიტომ ბრუნდებოდი თბილისში, რომ გათავებული წამლის მარაგი შეგევსო. შენმა უფროსმა ძმამ მალხაზმა (შეუძლებელია ნერვებმა არ გიმტყუნოს, მის შემხედვარეს) ძლივს მიგვახვედრა, წამალს განგებ არ ვუგზავნიდი, ეგებ ჩამოვიდესო. უკანასკნელად 14-ში უნახიხარ ოჯახს. გითქვამს, სადაც ცხელი წერტილია, იქ გვიშვებენო...

მშვიდობით, და გმადლობთ, ასეთი სიცოცხლისა და სიკვდილისათვის.



შენ ბოლო ხარ, ბადრი, ვისაც დღეს ვემშვიდობებით. ეგებ არის ამაში რაღაც კანონზომიერება. აფხაზეთის მიწაზე დაბადებულ ვაჟკაცს და მისთვის თავშეწირულს, ისეც ის დაგიტირებს და ჩაგიკრავს გულში. ყოველთვის გაღიმებულს გხედავდნენ, შენი ბოლო სიტყვებიც ღიმილთან ერთად ჩაგვრჩა მეხსიერებაში — მე თუ არა, აბა ვინ უნდა იომოს აფხაზეთისთვისო. ორი შვილის მამა იყავი და მათ წინაშეც გრძნობდი პასუხისმგებლობას, შვილები ხომ ძალზე მკაცრად ითხოვენ პასუხს მშობლის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯზე. პირნათელი წახვედი, ჩვენო ბადრი. არაფერი აქვთ სასაყვედურო შენთან არც წინაპრებს, არც მომავალ თაობას. კვლავაც იამაყებს სამშობლო შენით და შენნაირებით.

მშვიდობით, ბადრი, ნათელში გევლოს.

• • •

აფხაზეთში, სოფელ შრომასთან გამართულ ბრძოლებში გმირულად დაღუპულ ავღანეთის ომის მონაწილეთა და საზოგადოება „დელტას“ წევრთა ნუგზარ მიხანაშვილის (საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი), ვაჟა ბანეთიშვილის, ვიტალი სუვორიანის, კობა აბზიანიძის, სოსო გრიგოლავას სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 10 ნოემბერს, დილის 10 საათიდან თბილისში, კინოს სახლში (კაკაბაძეების ქ. № 2) გამოსვენება დღის 12 საათზე.

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება რესპუბლიკის ავღანელთა კავშირის მეომრების: **ნუგზარ მიხანაშვილის, ვაჟა ბანეთიშვილის, ვიტალი სუვორიანის, ბადრი ქვანიას, კობა აბზიანიძის, სოსო გრიგოლავას** დაღუპვას და სამძიმარს უცხადებს მათ ოჯახებს და ავღანელთა კავშირს.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

ეს ჩვენი საქართველოა!



„მამა ომში წავიდა“...

სანდრო მამასახლისის ფოტო.

ახალი წიგნი

ისტორიული სინამდვილე და მკვლევარი

გიორგი დოლიძე.

ცნობილი ქართველი კრიტიკოსის, პროფესორ ვასილ კიკნაძის, როგორც მკვლევარის უაღრესი ნაყოფიერება, უკვე რამდენიმე ათეული წელია საერთო გაოცებასა და აღტაცებას იწვევს.

ვინმემ რომ გრაფიკი შეადგინოს და შეაჯეროს თარიღები ვასილ კიკნაძის წიგნების (იგი 26 წიგნის ავტორია), საჟურნალო და საგაზეთო სტატიებისა, სატელევიზიო და რადიო გამოსვლების, ინტერვიუების და საჯარო მოხსენებებისა, პრაქტიკულად თითქმის დღე არ რჩება, რომ მისი ხმა არ ისმოდეს, როგორც პირდაპირი, ისე ფიგურალური გაგებით. და ეს ეხება არა მარტო თეატრის, არამედ საერთოდ, მთელი ჩვენი კულტურის საკითხებს.

და აი, ჩვენს წინაშეა კიკნაძის ახალი გამოკვლევა — „წამებული რაინდები“. ქვესათაურად მოკრძალებული მინიშნებაა — „თეატრი — სუკის არქივებში“.

მართალი გითხრათ, წინასწარ მზარავს არამარტო გაცნობა ამ მასალებისა, არამედ გაფიქრება მათზე. დიდი ვაჟკაცობაა საჭირო, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურად უნდა განეწყო და მოემზადო ამ სულიერი დაძაბულობისათვის, რაც ამას მოჰყვება. ადვილი წარმოსადგენია, ისტორიული თვალსაზრისით რა საინტერესო მასალებია აქ დაცული, მაგრამ მეორეს მხრივ — რა ამაზრზენი; ამაზრზენი არა მარტო იმ ძალადობითა და საშინელებებით, რაც სუკის ჯურღმულებში ხდებოდა, არამედ უფრო იმით, რომლითაც ამ ძალადობამ ადამიანების სული შერყვნა და მერე მთელი ეს სიბინძურე და სულმდაბლობა დაკითხვების ოქმებში გადმოინთხა. მტრისას, ყოველივე ეს მკვლევარმა, აქაოდა ისტორიული სინამდვილეაო, მზის შუქზე გამოიტანოს, ნამდვილი განკითხვის დღე დატრიალდება.

მხოლოდ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების, ფაქიზი მამულიშვილური გრძნობისა და ნამდვილი ადამიანური ტაქტის პატრონს შეეძლო ამ მართლაც ბეწვის ხიდის ისე დიდოსტატური გავლა, როგორც ამ წიგნის ავტორმა შეძლო. უპირველეს ყოვლისა, მან, ალბათ, საკუთარი თავი მოთოკა, რომ მეცნიერულ კეთილსინდისიერებას რეალობის განჭვრეტის უნარი არ დაეფარა და ბევრი რამ ადამიანის სულის მოძრაობის წყვდიადიდან, იქვე დაეტოვებინა და მხოლოდ ის ამოეტივტივებინა, რის აღსაქმელადაც დღეს, ასე თუ ისე, მაინც მომზადებულია საზოგადოება.

არადა, ავტორის სიტყვებისა არ იყოს, მართლაც თავაწყვეტილ ფანტაზიას თუ შეეძლო ისეთი გრანდიოზული და, რაც მთავარია, ტრაგიკული სპექტაკლის გათამაშება, როგორიც საქართველოში დატრიალდა 30-იან წლებში და რომელმაც ლამის იყო შემოქმედებითი ენერგიისაგან დაწრიტა ქართული თეატრი. აბა, გავიხსენოთ, ვინ რა ასაკისა და რა თანმიმდევრობით დაიხვრიტა მარტო იმ ერთ, ავადმოსახსენებელ ოცდაჩვიდმეტში:

8 თებერვალს — კრიტიკოსი სერგი ამაღლობელი, 39 წლისა.

3 მარტს — მსახიობი ხათუნა პიპინაძე, — 35 წლისა.

14 ივნისს — დირიჟორი ევგენი მიქელაძე, 34 წლისა.

29 ივნისს — რეჟისორი სანდრო ახმეტელი, 51 წლისა, მსახიობები: ილუჯა ლორთქიფანიძე (33 წლისა), ია ქანთარია (36 წლისა), ივანე ლაღიძე (36 წლისა) და პლატონ კორიშელი (54 წლისა).

11 სექტემბერს — რეჟისორი ვახტანგ გარიკი (ვაჩნაძე), 41 წლისა

21 ოქტომბერს — მსახიობი ვანიკო აბაშიძე (41 წლისა).

2 დეკემბერს — მხატვარი პეტრე ოცხელი (30 წლისა), რეჟისორი ვახტანგ აბაშიძე (30 წლისა) და თეატრალური მოღვაწე — გიორგი ჟორდანია (52 წლისა).

რაც შეეხება დაჭერა-გადასახლებას, ეს არც მაშინ და არც მერე შენელებულა. კერძოდ, დაიჭირეს და გადაასახლეს ბევრი სახელოვანი მოღვაწე მსახიობები — თამარ წულუკიძე, ბუძუძა შავიშვილი, მარიამ ხოფერია, გრიგოლ კოსტავა, რეჟისორები — კუკური პატარიძე, ალექსანდრე მიქელაძე, ალექსანდრე მაღლაკელიძე, თეატრმცოდნე გივი ბარამიძე და სხვები.

ქართული კულტურის ამ შესანიშნავ მოღვაწეებზე, უფრო სწორად კი მათი ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე გვიამბობს ვასილ კიკნაძის წიგნი, გვიამბობს დიდი სიყვარულითა და ტაქტით, ურომლისოდაც საერთოდ გაგვიჭირდებოდა მისი წაკითხვა. მშრალი და მკაცრი დაკითხვის ოქმები მხოლოდ ოსტატის ხელში იქცევა ნამდვილი პუბლიცისტური ჟღერადობის ნაწარმოებად. ამიტომაც გავამახვილე ყურადღება მასზე და მინდა მოვუწოდო ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს, ასევე შეისწავლონ და გამოამზეურონ ის მასალები, რაც სუკის არქივებში დაცულია ქართველ კინემატოგრაფისტებზე, მარტო კოტე მიქაბერიძის უაღრესად დრამატული ცხოვრება იძლევა ამ მხრივ სერიოზული ფიქრისა და განსჯის საბაბს.



მოკლე ინფორმაცია

ექიმები გმობენ ბირთვულ ომს

საქართველო რუსეთთან, ბელორუსიასთან, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, აგრეთვე სერბიასთან და ხორვატიასთან ერთად პირველად მონაწილეობდა ევროპის მეექვსე რეგიონალური კონგრესის — „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლი მსოფლიოს ექიმები“ — მუშაობაში, როგორც სრულუფლებიანი და დამოუკიდებელი წევრი. აქ ჩვენი წარმომადგენელი იყო „ბირთვული ომის თავიდან აცილების მებრძოლ ექიმთა“ საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი ნოდარ ყიფშიძე.

ვენის კონგრესზე კონტაქტები დამყარდა ინგლისის, გერმანიის, უნგრეთის და კანადის მთელ რიგ სამეცნიერო ცენტრებთან, რომლებიც ამუშავებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების მოდელებს.

„მის იმერეთი-92“

ქუთაისის სარეკლამო შეხვედრების ფირმამ და კომერციული ტელევიზიის შემეცნებით-გასართობ პროგრამათა რედაქციამ მოაწყვეს სილამაზის საინტერესო შოუ-კონკურსი „მის იმერეთი-92“. დაწყებით ეტაპზე მასში მონაწილეობდნენ 14-დან 26 წლამდე გოგონები, რომლებიც იმერეთში ცხოვრობენ.

21 ქალიშვილი მონაწილეობდა კონკურსში, რომელიც გაიმართა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

კომპეტენტურმა ჟიურიმ გრან-პრი და „მის იმერეთი-92“-ის წოდება მიანიჭა ქუთაისის № 8 საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეს ბელა მელიავას.

მის იმერეთი-92

სურათზე: გრან-პრისა და „მის იმერეთი-92“-ის წოდების მფლობელი მეცხრეკლასელი ბელა მელიავა.

გურამ ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კონფერენციას დღესასწაული მოჰყვება

იაკობ გოგებაშვილის იუბილესწინა დღეებში (გადაწყდა, რომ სახალხო დღესასწაული „იაკობობა“ გაიმართოს მწერლის მშობლიურ სოფელ ვარიანში, შაბათს, 14 ნოემბერს) საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილებამ და გორის განათლების განყოფილებამ გამართეს დიდი მწერალ-განმანათლებლისადმი მიძღვნილი ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა, პოეტმა ჯემალ ინჯიამ.

პედაგოგიური საზოგადოების სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ავთანდილ ჩხეიძემ, განათლების განყოფილების გამგემ ლერი პაპუაშვილმა, დოცენტებმა გიორგი ჩიტიამ და შოთა არსენიძემ ილაპარაკეს იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

მსმენელთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ სოფელ აძვისა და გორის მე-8 საშუალო სკოლების მასწავლებლები — მაია გელაშვილი, ელგა გლიწკო, ნანა თავზარაშვილი, გორელი პოეტები და მწერლები — თენგიზ კობერიძე, მარინე ჯალიაშვილი, ნუნუ ოთარაშვილი და სხვები.

გაიმართა ყრილობა

გუშინ აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის II ყრილობა. მის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიში, კავშირის წესდების დამტკიცება და კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა.

ყრილობამ საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარედ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით აირჩია ბატონი **გიგა ლორთქიფანიძე.**

გვქონდეს მეორე წრის იმედი?!

ჩინეთის ქალაქ შანხაიში იმართება პრეტენდენტთა ტურნირის პირველი წრე.

უკანასკნელი ტურის წინ 6,5 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს უნგრელი ჟუჟა პოლგარი. 4,5 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ იუგოსლავ ალისა მარიჩს.

ქართველი დიდოსტატები საკმაოდ უფერულად თამაშობენ.. მათგან ჯერჯერობით საუკეთესოა მაია ჩიბურდანიძე, რომელმაც 4 ქულის მოპოვება შეძლო.

პირად შეხვედრებში მაიამ სძლია ნონას, ნონამ — ნანას, ხოლო მაია და ნანა დაზავდნენ.

პირველი წრის ბოლო ტურში ყურადღების ცენტრშია მაია ჩიბურდანიძისა და ჟუჟა პოლგარის პარტია. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეები შეძლებენ მდგომარეობის გამოსწორებას და მეორე წრეში თავიანთ შესაფერის დონეზე ისპარეზებენ.

5 მდევარი

ერთი ტურიც და ცნობილი გახდება საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი ვაჟთა შორის ჭადრაკში. 10 პარტიის შემდეგ 7,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ქუთაისელი სუპატაშვილი. მას 7-7 ქულით კვალში უდგას უახლოეს მდევართა კვინტეტი თბილისელების — გოგიჩაიშვილის, ყაჭეიშვილისა და მოვსესიანის, ზუგდიდელი ჯგებუაძისა და სენაკელი ტყებუჩავას შემადგენლობით.

გუშინდელმა ბოლო ტურმა გამარჯვება და საქართველოს ჩემპიონობა მოუტანა ხვიჩა სუპატაშვილს. (8,5 ქულა). მას 0,5 ქულით ჩამორჩა გიორგი ყაჭეიშვილი. კოეფიციენტთა ცხრილით მესამე პრიზიორი გახდა თბილისელი გია ბაღათუროვი.

სამხელისუფლებიანობა

ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში დასრულდა ვაჟთა მეორე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის „ა“ ქვეჯგუფის I ტურის მატჩები. ბოლო შეხვედრა მარცხიანი აღმოჩნდა თბილისის „დინამოსათვის“, რომელსაც ანგარიშით 101:100 პირველი მარცხი აგემა რუსთავის „აზოტმა“.

ამავე დღეს ქუთაისის „რიონმა“ სძლია „სამტრედიას“ — 93:83, ხოლო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პაექრობაში გამარჯვება წილად ხვდათ პირველებს — 101:71.

5 თამაშიდან 4-4 მოგებით სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ „რიონი“, „დინამო“ და „აზოტი“.

დაიწყო მეთოთხმეტე ტური

შაბათს დედაქალაქის სტადიონებზე გამართული 2 მატჩით დაიწყო ფეხბურთელთა მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტური.

„მრეტებმა“ კიდევ ერთი მარცხი განიცადეს, ამჯერად „მარგვეთთან“ — 0:1, „შევარდენი-1906“-მა კი მორიგი 3 ქულა შემატა აქტივს „ოდიშთან“ — 6:2.

გუშინ „დინამომ“ შინ სძლია „ცხუმს“ — 1:0.

მეტოქეები დაწყვილდნენ

უეფა-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა.

ჩემპიონთა თასი, „ა“ ქვეჯგუფში ითამაშებენ ბელგიის „ბრიუგე“, საფრანგეთის „მარსელი“, შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“ და მოსკოვის ცსკა.

„ბ“ ქვეჯგუფის კვარტეტში მოხვდნენ პორტუგალიის „პორტო“, იტალიის „მილანი“, ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“ და შვედეთის „გეტებორგი“.

ჯგუფური ტურნირები ორ წრედ მოეწყობა. პირველი ტურის შეხვედრების თარიღია 25 ნოემბერი, მომავალი წლის 21 აპრილს კი გაიმართება გადამწყვეტი თამაშები და გაირკვევა ფინალისტები.

თასების თასი. 1993 წლის 3 და 17 მარტს მეოთხედფინალში ურთიერთობას გაარკვევენ: პრაღის „სპარტა“ — იტალიის „პარმა“, საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი“ — მადრიდის „ატლეტიკო“, ბუქარესტის „სტიაუა“ — ბელგიის „ანტვერპენი“, ჰოლანდიის „ფეიენოორდი“ — მოსკოვის „სპარტაკი“.

უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები გაიმართება 25 ნოემბერს და 9 დეკემბერს. ერთმანეთს შეხვდებიან: ჰოლანდიის „აიაქსი“ — გერმანიის „კაიზერსლაუტერნი“, ბელგიის „სტანდარდი“ — საფრანგეთის „ოსერი“, იტალიის „რომა“ — თურქეთის „გალათასარაი“, ჰოლანდიის „ვიტესი“ — მადრიდის „რეალი“, ჩეხეთ-სლოვაკეთის „სიგმა“ — იტალიის „იუვენტუსი“, მოსკოვის „დინამო“ — პორტუგალიის „ბენფიკა“, დორტმუნდის „ბორუსია“ — სარაგოსას „რეალი“, საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენი“ — ბელგიის „ანდერლეხტი“.

აბიტურიენტთა და მათ მშობელთა საყურადღებოდ!

საქართველოს ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას ფასიან მოსამზადებელ კურსებზე შემდეგი ფაკულტეტებისათვის:

1. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაცია და სამარკეტინგო სამართალი;
2. ბიზნესის ორგანიზაცია;
3. კვების მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი;

აბიტურიენტები მოემზადებიან იმ საგნებში, რომლებშიც ეწყობა ტესტირება-გასაუბრება ინსტიტუტში. გარდა ამისა, გაძლიერებული პროგრამით ისწავლება ინგლისური ენა. კურსდამთავრებულები უკონკურსოდ ჩაირიცხებიან ჩვენს ინსტიტუტში. სტუდენტები გაცვლის სახით სტაჟირებას გაივლიან საზღვარგარეთ.

მე-11 კლასის მოსწავლეთა ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ მათ ასევე შეუძლიათ გახდნენ ჩვენი მსმენელები და დროის დაუკარგავად მიიღონ საჭირო ცოდნა და კურსების დამთავრების მოწმობაც.

სწავლა ფასიანია და თითოეულ საგანში მომზადება ღირს 2.000 მანეთი.

მეცადინეობები ჩატარდება კვირაში სამჯერ 15-დან 17 საათამდე.

ინსტიტუტში პარალელურად ისწავლება საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: 3 ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, სკოლის დამთავრების ან სწავლის მოწმობა.

ჩარიცხვა მოხდება 26 ნოემბრიდან.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი, დიღმის მასივი, II კვარტალი, 169-ე სკოლა, ტელ. 51-98-91, ან ჩიქოვანის ქ. 26; 150-ე საშუალო სკოლა; ტელ. 36-44-60.

ცხონება

კახი კვიტაშვილი



კიდევ ერთი ქართველი ვაჟკაცი — 29 წლის კახი კვიტაშვილი შეეწირა აფხაზეთში ქართული ტერიტორიის მთლიანობისთვის ბრძოლას. 14 წლისა იყო კახი, როდესაც ჩაირიცხა ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში. მისი დამთავრების შემდეგ, 1980 წელს, სწავლა განაგრძო დონეცკის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებელში საინჟინრო ჯარების პროფილით. მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, და როდესაც სამშობლოს ინტერესებმა მოითხოვა, კაპიტანმა კახი კვიტაშვილმა ეროვნულ გვარდიას მიაშურა, სადაც დაინიშნა მე-4 კადეტთა კორპუსის უფროსის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში.

დაიღუპა აფხაზეთში, გუმისთის მიდამოებში...

წავიდა და დატოვა მოუშუშებელი იარა დედის, მეუღლის, ორი წლის გოგოს და ახლობლების გულში.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

თანამებრძოლები.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ახალშენთან ბრძოლებში გმირულად დაიღუპნენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები

არჩილ ნოდარის ძე ამაღლობელი,
მალხაზ გურამის ძე დოლიძე

და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

საშველი არ არის?

გინდ შეარჩიე, გინდ — არა, მაინც მოიწამლები...

ბოლო დროს ძალიან გახშირდა სოკოთი მოწამვლის შემთხვევები. განსაკუთრებით — იმერეთში. სამწუხაროდ, რამდენიმე ავადმყოფი გარდაიცვალა კიდეც.

— რამ გამოიწვია მოწამვლა? — „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტის ამ კითხვას ასეთი პასუხი გასცეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მთავარმა ტოქსიკოლოგმა, დოცენტმა გივი კაციტაძემ და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა თემურ კობიძემ:

— სანამ დაწვრილებით არ მოხდება ტოქსიკოქიმიური გამოკვლევა, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ორ ვარიანტზე: ან უნდა დავუშვათ, რომ ვარგის სოკოს შეცდომით შხამიან სოკოსაც ურევენ, ან, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოწამლულთა შორის არიან ისეთები, რომლებიც კარგად ერკვევიან სოკოთა სახეობებში და კატეგორიულად უარყოფენ შხამიან სოკოსთან კონტაქტის შესაძლებლობებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვეულებრივი საჭმელი სოკო ინტოქსიკაციის მიზეზი გახდა.

საქართველოში ასზე მეტი სახეობის საჭმელი სოკოა. მათგან განსაკუთრებით ფართოდ იხმარება ნიყვი, მიქლიო, ვარყა, ჭანჭყატა, ქამა და სხვა სოკოები. საჭმელად უვარგისი, ანუ შხამიანი სოკოებიდან ყველაზე ცნობილია შხამა ბოლქვა სოკო, და წითელი სოკო, რომლებიც სახიფათოა ნებისმიერი კულინარული დამუშავების შემდეგაც. მათში დიდი რაოდენობითაა უძლიერესი შხამები — ალკალოიდები: ფალოიდინი და ამინიტინი. მათი ზეგავლენით ზიანდება ღვიძლი, თირკმელები და აგრეთვე ცენტრალური ნერვული სისტემა, მოწამვლის პირველი ნიშნებია: გულისრევა, ღებინება, ტკივილი მუცლის არეში, კუჭის აშლა, ძლიერი საერთო სისუსტე, გონების დაკარგვა. წითელ სოკოში დიდი რაოდენობითაა შხამიანი ნივთიერებები — მუსკარინი, მუსციმოლი, ჰიოსციამინი, რომლებიც შერჩევითად აზიანებენ ნერვულ სისტემას. წითელი სოკოთი მოწამვლისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ძლიერი ოფლიანობა, ნერწყვდენა, დიდი რაოდენობით ზემო სასუნთქი გზებიდან ქაფიანი ნახველის გამოყოფა, ქოშინი, ციანოზი, თვალის გუგების მკვეთრი შევიწროება.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ: რაკი ტრადიციულად საკვებად ვარგისი სოკოებით იწამლება, მოსახლეობა საერთოდ უნდა მოერიდოს მათ. სავარაუდოა, რომ გარკვეული გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით მათ შხამიანი სოკოებისთვის დამახასიათებელი ტოქსიკურობა შეიძინეს, რაც მძიმე მოწამვლების მიზეზი ხდება. კლინიკურ სურათს მკვეთრად ამძიმებს სოკოსთან ერთად ალკოჰოლიანი სასმელების მიღება, რადგან ალკოჰოლი აჩქარებს ორგანიზმში შხამიან ნივთიერებათა შეწოვას.

მოწამვლის პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე აუცილებლად უნდა მივმართოთ ექიმს. პირველი დახმარება სოკოთი მოწამლულისას კუჭის ამორეცხვა და ნაწლავების გაწმენდაა. კუჭის ამოსარეცხად იხმარება თბილი წყალი ან სოდიანი ხსნარი, ასევე კალიუმის პერმანგანატის სუსტი ხსნარი. სითხისა და მარილების დანაკარგის შესავსებად ავადმყოფს დასალევად უნდა მივცეთ (პატარ-პატარა ყლუპებად) სუსტი მარილიანი წყალი ან მაგარი ჩაი. ავადმყოფი ექიმის მოსვლამდე უნდა იწვეს. საშუალო ან მძიმე მოწამვლის შემთხვევაში ავადმყოფი კვალიფიციური დახმარების აღმოსაჩენად სასწრაფოდ უნდა მივიყვანოთ უახლოეს სამედიცინო სტაციონარში.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც თბილისის მე-3 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე არსებული ტოქსიკორეანიმაციული ცენტრი, ასევე ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდისა და სხვა საავადმყოფოთა რეანიმაციული განყოფილებები უზრუნველყოფილი არიან სათანადო სამკურნალწამლო საშუალებებით. ნუ დააყოვნებთ ავადმყოფთა მიყვანას სტაციონარში, რათა ექიმებმა დროულად და ეფექტიანად უმკურნალონ.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.